ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 13 ნოემბერი, 2020 №237 (8501) ფასი: 60 თეთრი

პოლიციამ 1.200.000 ლარის ნარკოტიკი ამოიღო

დაკავებულია ყაზახეთის მოქალაქე

გვ.5

„ნაციონალებს ჰყავთ ჩრდილოვანი მმართველი ვანო მერაბიშვილი“

გვ.3

პაატა დავითაია: „პომპეოს მხრიდან ხელისუფლებას სიურპრიზები ელოდება“

სერგი კაპანაძე: „გრიგოლ ვაშაძის ინტერვიუმ დამაბნია“

გვ.2



„ვადამდელი არჩევნების საკითხში უკან დახევას არ ვაპირებთ“

არჩევნები გაყალბდა, საქმის გამოსწორების წამალი ხელახალი არჩევნებია“

მურმან დუმბაძე: „ჩემი მრავალწლიანი პოლიტიკური გამოცდილებით შემიძლია გითხრათ, თუ ქვეყანაში არის სამართალი და მშვიდობა, ვერავინ ვერ გამოიყვანს მოქალაქეს ქუჩაში“

გვ.3

ვახტანგ მაისაია: „ძალიან რთული გეოსტრატეგიული გარემო შეიქმნა ჩვენს საწინააღმდეგოდ“

გვ.4

გვ.2

არჩილ თალაკვაძე: „ერთად გადავამოწმოთ ოპოზიციის მიერ დასმული ყველა საკითხი“

გვ.4

დავით ბაქრაძე: „ჩვენ ისევ ახალ არჩევნებს ვითხოვთ“

გვ.4

ლევან გოგიჩაიშვილი: „მე ხმები ბიძინა ივანიშვილმა მომპარა“

ISSN 1987-9385

2 „თბილისი ენერჯი“: „დიღომი 7“, „დიღომი 8“ და „დიღომი 9“ აფეთქებას გადაურჩა

2 პარლამენტის ყოფილი წევრი ბიძინა გუჯაბიძე გარდაიცვალა

5 თაზო გორთამაშვილის მკვლელობისთვის დაკავებული მერაბ კობიაშვილი სასამართლომ გაათავისუფლა

6 ერევანში ოპოზიციის ლიდერები დააკავეს

სერგი კაპანაძე: „გრიგოლ ვაშაძის ინტერვიუმ დამაბნია“

„ვადამდელი არჩევნების საკითხში უკან დახევას არ ვაპირებთ“

იაგო ნაცვლიშვილი

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის გრიგოლ ვაშაძის განცხადებებმა დაბნეულობა გამოიწვია. ჯერ იყო ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები, რასაც 11 ნოემბერს „ღამის კურიერისთვის“ მიცემული ინტერვიუ მოჰყვა. ინტერვიუში პოლიტიკოსი და დიპლომატი აცხადებს, რომ დიალოგი ჩაიშალა. ამ ყველაფერს ამერიკის ელჩის რეზიდენციაში დიალოგი მოჰყვა, სადაც ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეხვედრას თავად გრიგოლ ვაშაძეც ესწრებოდა.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ყინულმა ლღობა დაიწყო და პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის შანსი გაჩნდა და როგორ გაიგო გრიგოლ ვაშაძის ინტერვიუ? – ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთერთი ლიდერი **სერგი კაპანაძე** საუბრობს.

– ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დიალოგი დაიწყო ამერიკის ელჩის რეზიდენციაში. ეს ნიშნავს, რომ ყინულმა ლღობა დაიწყო და გაჩნდა შანსი, რომ პოლიტიკური კრიზისი განიმუხტოს?

– დიალოგი დაიწყო და შანსი გაჩნდა თუ არა, ეს დამოკიდებულია იმაზე, ხელისუფლება რამდენად ადეკვატურად აფასებს ამ რეალობას და რამდენად ადეკვატურად უყურებს იმას, რამდენად მძიმე კრიზისია, რაც ჯანმრთელობის კრიზისთან და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ქვეყანას გამოუვალ მდგომარეობაში აგდებს. ხელისუფლების ადეკვატურ რეაქციაზეა ყველაფერი დამოკიდებული.

– თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?

– არაფერი მოლოდინი არ მაქვს. ჩვენ გვაქვს სურვილი, რომ განიმუხტოს ეს მდგომარეობა და სწორედ ამიტომ მოთხოვნები უნდა შესრულდეს.

– უცნაური იყო გრიგოლ ვაშაძის განცხადებები, ჯერ წერილობითი ფორმით გაკეთებული ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები, შემდეგ კი ინტერვიუ „რუსთავი 2“-თან. თქვენ რა გითხრათ მისმა ინტერვიუმ და იყო თუ არა ის პირი ვაშაძე, ვინც ოპოზიციის სახელით დიპლომატებს ელაპარაკებოდა?

– მე დამაბნია მაგ ინტერვიუმ. იმიტომ, რომ სიმართლე არ იყო ის, რაც ითქვა. მხედველობაში მაქვს ის ნაწილი, სადაც ის ამბობს, რომ მოლაპარაკებები ჩაიშალა. უბრალოდ არ იყო სწორი ასეთი გაუგებრობების შეტანა იმ ვითარებაში, როდესაც ოპოზიციური სპექტრი ერთიან პოზიციაზეა და ერთიანი მოთხოვნები აქვს. ამ შემთხვევაში არა მგონია, რომ ეს რაიმე კარგის მომტანი შეიძლება იყოს საერთო საქმისთვის.

– თქვენ ამბობთ, რომ გრიგოლ ვაშაძე არ ყოფილა ის პირი, ვინც თქვენი სახელით ელაპარაკებოდა დიპლომატებს?

– არა. ჩვენი სახელით არავინ არავის არ ელაპარაკება. ჩვენი სახელით მხოლოდ ჩვენ – „ევროპული საქართველო“ – ვლაპარაკობთ.

– ამ შემთხვევაში „თქვენ“-ში ოპოზიციურ სპექტრს ვგულისხმობ.

– რა თქმა უნდა, არა.

– რა იყო ამ ინტერვიუში ბუნდოვანების შემტანი და ოპოზიციაში ხომ არ გააჩინა მან რაღაცა გაურკვევლობა?

– ჩვენი პოზიცია რაც არის, ეს ყველასთვის ცნობილია და ამაზე ყველა ოპოზიციური პარტია ერთიანია. ამ ინტერვიუმ რაღაც გარკვეული კითხვები გააჩინა, ოღონდ ბოლომდე ვერ გავიგე, რას ემსახურებოდა და რა სურდა ბატონ გრიგოლს.

რაც შეეხება მოლაპარაკებების ჩაშლას, ეგ სიმართლე არ იყო. იმიტომ, რომ არანაირი მოლაპარაკება არ ჩავარდნილა.

– ამის დადასტურებაა ამერიკის ელჩის რეზიდენციაში შეხვედრა?

– ბუნებრივია. ბატონი გრიგოლი აცხადებს, მოლაპარაკებები ჩავარდაო და მეორე დღეს შეხვედრა იმართება, როგორ არის ჩავარდნილი?!

– ის საუბრობდა იმაზეც, რომ სულ მარტო რომ დავრჩე, ჩემს პოზიციებს მაინც დავიცავო.

– რა პოზიციას დაიცავს, ეს ნამდვილად ვერ გავიგე და რაც ვერ გავიგე, იმაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

– მან თქვა, რომ იქამდე უნდა მივიდეთ, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა დამოუკიდებლად შევძლოთ ლაპარაკი და საერთაშორისო თანამეგობრობა არ უნდა დაგვჭირდესო. არ არის ეს სწორი გზავნილი და ოდესღაც აქამდე არ უნდა მივიდეთ?

– მაგას მეც ვეთანხმები და ყველა ეთანხმება, რომ არ უნდა გვჭირდებოდეს. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი გადაწყვეტილებები მიიღო, რომ მისმა სიტყვამ ფასი დაკარგა. რასაც ის პირდება საზოგადოებას, მერე აღარ ასრულებს. ის უარს ამბობს ყველანაირ დიალოგზე, დებატებსა და საერთოდ საუბარში მონაწილეობაზე. აქედან გამომდინარეა საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობა საჭირო.

– მისი ეს განცხადება იყო მხოლოდ ხელისუფლების მისამართით თუ მთლიანად პოლიტიკურ სპექტრს აკრიტიკებს ამ თვალსაზრისით?

– არ ვიცი. როგორც გითხარით, ვერ გავიგე.

– ოპოზიციის მოთხოვნები უცვლელია და მხოლოდ ხელახალ არჩევნებს განიხილავთ?

– დიახ, რა თქმა უნდა, უცვლელია მოთხოვნები.

– რა კომპრომისისთვის არის მზად ოპოზიცია?

– კომპრომისზე საუბარს ვერ დავიწყებთ იმ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლებისგან არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა.

– შესაძლოა, რომ რაღაც პოზიციები დათმოთ?

– კომპრომისი ნიშნავს იმას, რომ შეიძლება რაღაცაზე შევთანხმდეთ და რაღაც დეტალებია გასავლელი, რაც არ ჩანს.

– კი, მაგრამ, კომპრომისი იმასაც ნიშნავს, რომ ორივე მხარემ უკან დაიხიოს და შუალედური პოზიცია მოიძებნოს.

– კი, მაგრამ, რაზე? ვადამდელი არჩევნების დანიშვნის თაობასა და ამ არალეგიტიმურ პარლამენტზე ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ. მაგ საკითხში უკან დახევას არ ვაპირებთ.

– ვთქვათ, ხელისუფლებამ შემოგთავაზათ, რომ დათმობენ პოზიციას და მზად არიან, რომ სადავო ოლქები გადაიხედოს. დღევანდელი მოცემულობით ამას დათანხმდებით?

– მაგაზე უარი თქვეს და როგორ შემოგვთავაზებენ.

– მაგრამ ხომ შეიძლება, რომ მოლაპარაკებების დროს ისევ დაბრუნდეს დღის წესრიგში?

– უარი თქვეს, ეს საკითხი იურიდიულად დაიხურა და სასამართლომ ყველა მოთხოვნაზე უარი თქვა. ის, რაზეც უარია ნათქვამი სასამართლოს გზით, ვეღარ დაბრუნდება დღის წესრიგში. თეორიულად შესაძლებელი იქნებოდა ეს, თუ ჩვენი სარჩელები დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ მაგაზე უარი თქვეს.

– რას ელოდებით შაბათის აქციისგან და ხომ არ ელოდებით იმას, რომ ხელისუფლება ძალას ისევ გამოიყენებს?

– ხელისუფლებისგან ყველაფერს ველოდებით. ვნახეთ, როგორ უმოტივაციოდ გამოიყენა ძალა წინა აქციაზე. ამიტომ ყველაფერი მოსალოდნელია.

ჩვენ გვექნება მშვიდობიანი და ხალხმრავალი აქცია.

არჩილ თალაკვაძე: „ერთად გადავამოწმოთ ოპოზიციის მიერ დასმული ყველა საკითხი“

პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რეზიდენციაში ოპოზიციასთან დიალოგის ფორმატში შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ 12 ნოემბრის შეხვედრა პოლიტიკური კონსულტაციების პოზიტიური დასაწყისი იყო.

– პოლიტიკური დიალოგი დაიწყო. ჩვენ იმთავითვე ვთქვით, რომ დიალოგი პოლიტიკურ პარტიებს შორის არის ქვეყნის და საზოგადოების ინტერესებში. ეს იყო პოლიტიკური კონსულტაციების პოზიტიური დასაწყისი. მე დიდი იმედი მაქვს, რომ დიალოგი გაგრძელდება და ჩვენი დემოკრატიისთვის მნიშვნელოვან შედეგამდე მივალთ. ჩვენი სურვილია, დავუახლოვოთ პოზიციები. დღევანდელი შეხვედრაც, გარკვეულწილად, ამას ემსახურებოდა. ჩვენ გავცვალეთ არგუმენტები, ყველას ყურადღებით მოვუსმინეთ.

რაც მთავარია, უნდა აღვნიშნო აშშ-ის ელჩის და ევროკავშირის ელჩის მონაწილეობის პოზიტიური მნიშვნელობა, მათ ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გამოხატეს, რომ ეს პოლიტიკური დიალოგი დასრულდეს მნიშვნელოვანი შედეგით, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესებშია. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ შევთანხმდით, რომ შემდეგი რაუნდი შედგება უახლოეს დღეებში.

ჩვენი პასუხი და პოზიცია არის მკაფიო – მოდით, ერთად გადავამოწმოთ ყველა ის საკითხი, რომელიც იყო ოპოზიციის მხრიდან დასმული. ჩვენ გვაქვს კონსტრუქციული და გახსნილი პოზიცია, ჩვენ გვსურს მივიდეთ იმ შედეგთან, როცა, საბოლოო ჯამში, ყველა პატივს სცემს არჩევნების შედეგებს და საქართველოს პარლამენტი განაგრძობს ფუნქციონირებას კანონის და კონსტიტუციის შესაბამისად.

არ უნდა ჰქონდეს საზოგადოებას მოლოდინი, რომ პირველ შეხვედრაზე ძირითადი შეთანხმებები მოხდებოდა, თუმცა პოლიტიკური დიალოგის დაწყება პოზიტიურია, გავცვალეთ არგუმენტები და კონსტრუქციულ გარემოში მოვუსმინეთ ერთმანეთს. მე მჯერა და იმედს ვიტოვებ, რომ ეს პოლიტიკური დიალოგი კონკრეტული შედეგით დასრულდება, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

„თბილისი ენერჯი“: „დიღომი 7“, „დიღომი 8“ და „დიღომი 9“ აფეთქებას გადაურჩა

კომპანია „დიღომი ვილა გაზმა“ უნებართვოდ და უსაფრთხოების ნორმების სრული დარღვევით „თბილისი ენერჯის“ კუთვნილი გაზსადენი გადაჭრა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „თბილისი ენერჯიდან“ აცნობეს.

მათივე ცნობით, უკანონო სამუშაოები კომპანიამ აბონენტების თავის ქსელზე გადართვის მიზნით ჩაატარა.

„უკანონო სამუშაოების შედეგად „თბილისი ენერჯის“ კუთვნილ გაზმომარაგების ქსელში ჰაერი შეიპარა. რამაც, თავის მხრივ, ქსელის დაზიანების გარდა, აფეთქების საშიშროება შექმნა და მოსახლეობის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა. მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, გაზის მიწოდება აღნიშნულ უბნებში 2.000-მდე აბონენტს სასწრაფო წესით შეუწყდა.

„თბილისი ენერჯიმ“ დიღომი 7,8,9-ის მოსახლეობა სექტემბრის თვეში გააფრთხილა, რომ 1 მ3 გაზის ღირებულება 0.461374 თეთრს შეადგენს და კომპანიისთვის უცნობი პირები აბონენტებს სთავაზობდნენ გაზის მიწოდებას. ამისთვის კი ითხოვდნენ პირად მონაცემებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საპატრულო პოლიცია და საგამოძიებო სამსახურები სრულად საქმის კურსშია და მიმდინარეობს მომხდარის მოკვლევა.

კომპანია „თბილისი ენერჯი“ ბოდიშს უხდის აბონენტებს შექმნილი დისკომფორტისთვის.

გთხოვთ გამოიჩინოთ მაქსიმალური ყურადღება, პასუხისმგებლობა და დაგვეხმაროთ საფრთხის განეიტრალებაში. კერძოდ, გადაკეტოთ ყველა გაზის ონკანი და დაელოდოთ „თბილისი ენერჯის“ შეტყობინებას გაზის მიწოდების აღდგენასთან დაკავშირებით.

კომპანია „თბილისი ენერჯი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თბილისის მოსახლეობის უსაფრთხო გაზმომარაგებას. კომპანიის სპეციალისტები სამუშაოებს უსაფრთხოების წესების სრული დაცვით ახორციელებენ“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

პარლამენტის ყოფილი წევრი ბიძინა გუჯაბიძე გარდაიცვალა

ეროვნული მოძრაობის წევრი, ორი მოწვევის პარლამენტარი, ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი, ბიძინა გუჯაბიძე გარდაიცვალა.

ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ ოჯახის ახლობლებმა დაუდასტურეს.

მათი ინფორმაციით, ბიძინა გუჯაბიძეს გულთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. ის გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა.

ცნობისთვის, ბიძინა გუჯაბიძე 1956 წლის 24 თებერვალს დაიბადა. ბიძინა გუჯაბიძე 2004 და 2012 წლებში საქართველოს პარლამენტის დეპუტატი იყო.



ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: **www. akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: **axtaoba@mail.ru**
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაციონალებს ჰყავთ ჩრდილოვანი მმართველი ვანო მერაბიშვილი“

პაატა დავითაია: „პომპეოს მხრიდან ხელისუფლებას სიურპრიზები ელოდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.

– ბატონო პაატა, ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს როგორ აფასებთ? თავიდან პროტესტი იყო საკმაოდ ძლიერი, მაგრამ როგორც საზოგადოებაში, ისე ოპოზიციაში აზრი ორად გაიყო. ერთი ნაწილი საუბრობს, რომ მოლაპარაკებას ალტერნატივა არა აქვს, მეორე ნაწილი კი საპროტესტო აქციების მომხრეა. რას იტყვით თქვენ?

– სანამ ჩემს პოზიციებს გეტყვით, ჩვენ ამ საკითხებზე არაერთხელ გვისაუბრია არჩევნების წინ, არჩევნების შემდეგაც და რაც ვთქვი, ყველაფერი ზუსტად ისე ვითარდება. მე ცალსახად ვემხრობი იმას, რომ დიალოგის წარმოება არის აუცილებელი. რა თქმა უნდა, პროტესტების ფონზე, ეს ჩვეულებრივი ტაქტიკური მომენტებია, მაგრამ დიალოგის წარმოება არის აუცილებელი. ეს აუცილებელია ქვეყნის ინტერესებიდან და კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გამომდინარე.

– როგორი ფორმატი უნდა იყოს?

– როგორ იქნება, რა ფორმატში იქნება ეს დიალოგი, დიალოგი უნდა შედგებოდეს იმ ფორმატისაგან, იმ პარტიებისგან, ვინც გადალახა საპარლამენტო ბარიერი, ან იმ პარტიებისგან, ვინც არჩევნებში რეგისტრირებული იყო, ახლა რთულია ამაზე საუბარი. დიალოგი არის აუცილებელი და ეს დიალოგი გვაჩვენებს, რამე გამოდის თუ არ გამოდის. მოდით ვთქვათ პირდაპირ, ის, რომ რომელიმე მხარემ თქვას, მე ყველაფერი მინდა, ან მეორე მხარემ თქვას, მე ყველაფერს დავთმობ, ასე არაფერი გამოვა. ასეთი რამე არ ხდება და ეს დიალოგი არ არის. დიალოგი არის კომპრომისი, კომპრომისული გზით რაღაც გადაწყვეტილებამდე უნდა მივიდეთ, თუ ქვეყანა გვიყვარს და თუ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვმოქმედებთ.

– არის რადიკალური ოპოზიციის ნაწილი, რომელიც არ აპირებს ამაზე წამოსვლას...

– ასე არაფერი გამოვა. ვისაც ჯეკპოტი უნდა, წავიდეს და კაზინოში ითამაშოს და ჯეკპოტიც იქ მოიგოს. მინდა და გერგება თუ არა, ეს სხვადასხვა რაღაცაა. ვიღაცის ჭკუასა და გეგმაზე სიარული ცოტა რთულია. მე ვამბობ ერთ რამეს, პროტესტი აუცილებლად უნდა იყოს. ხალხი აღშფოთებულია.

– რა ფორმით? რამდენად გამართლებულია ამ სიტუაციაში მრავალრიცხოვანი აქციები?

– გეთანხმებით, მეც აქეთ მიმყავდა საუბარი. გააჩნია პროტესტის ფორმასაც, ამ სიტუაციაში არ ღირს მრავალათასიანი აქციები, საშინელი პანდემიაა და აქ დავაში ვერც შევალ. თუმცა თვითონ პროტესტის პრინციპი უნდა არსებობდეს. ფორმა უკვე ტექნიკური მხარეა, მაგრამ ამ პროტესტის ფონზე, დიალოგის წარმოება იმისთვის, რომ ოპოზიციამ რაღაც გამარჯვებას მიაღწიოს, ესაა მნიშვნელოვანი და არა ის, რომ მე მინდა და მორჩა. გინდა რა, ასე არც მეორე მხარე თმობს. ამიტომ უნდა მოვექცეთ კონსტიტუციურ ჩარჩოებში. სპირალში მოექცა სიტუაცია, წრეზე ვტრიალებთ და აქედან გამოსავალი უნდა ვიპოვოთ. გამოსავლის პოვნა კი არის ის, რომ დიალოგის ცივილიზებული გზით რაღაცა დავალაგოთ.

– მოლოდინი გაქვთ, რომ პროცესი გადაინაცვლებს მოლაპარაკების მაგიდასთან?

– მე ვერ გეტყვით, რომ მოლოდინი მაქვს, ან არა მაქვს. მე ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას, რომ ასე უნდა იყოს.

– თქვენ ხართ ბლოკ „ძალა ერთობაშის“ გაერთიანებაში. რას იტყვით გრიგოლ ვაშაძის განცხადებებზე?

– „ძალა ერთობაშია“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა საარჩევნო ბლოკად. ჩემი პოლიტიკური პარტია არის პარლამენტის ბარიერგადალახული პარტია, ოღონდ ჩვენ არ გვექნება მანდატი, იმიტომ, რომ ჩვენ უარი ვთქვით ამაზე და მე მგონი, დღეს უკვე ყველა ხვდება, რატომაც ვთქვით უარი. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მე კიდევ უფრო მიადვილდება საუბარი. ეს იყო მხოლოდ საარჩევნო ბლოკი და ჩვენ აბსოლუტურად დამოუკიდებლად ვმოქმედებთ. ჩვენ განსხვავებული პოზიციები გვაქვს.

– პირადად თქვენ რას ფიქრობთ გრიგოლ ვაშაძის განცხადებაზე, რამდენად სწორი ტაქტიკა აირჩია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ?

– მე ღიად განვაცხადე, რომ სრულიად ვიზიარებ გრიგოლ ვაშაძის პათოსს და მიმაჩნია, რომ დიალოგის წარმოება ოპოზიციის წარმატებისათვის არის მნიშვნელოვანი. აი ეს არის ჩემი ფორმულა.

– ის აღარ უნდა იყოს ჩვენი პარტიის თავმჯდომარე, სასწრაფოდ უნდა გადავაყენოთ, ასეთი განცხადებები ისმის პარტიის შიგნიდან.

– ახლა ნაციონალურ მოძრაობაში რა ხდება, ეს არის ნაციონალური მოძრაობის პრობლემა.

– სერიოზული დაპირისპირება და აზრთა სხვადასხვაობაა.

– მათი პრობლემაა. მათი ნაწილი აქტიურად ებრძვის ბიძინა ივანიშვილის ჩრდილოვან მმართველობას, მაგრამ თავად ყავთ ჩრდილოვანი მმართველი, ვანო მერაბიშვილი. ამიტომ გაარკვიონ შიგნით, რა უნდათ. ეს მათი პრობლემაა. ეს არაა ჩემი პარტიის პრობლემა.

– საუბარია, რომ სწორედ ვანო მერაბიშვილმა წარმართა წინასაარჩევნო პროცესები ნაცმოძრაობაში და ზოგადად ამ ბლოკში და ეს სიაც მისი შედგენილი იყოო.

– პირდაპირ გეუბნებით, რომ პარტიული სია შეადგინა ნაციონალურმა მოძრაობამ და ამიტომაც ვთქვი უარი. ვანო მერაბიშვილის მიერ შედგენილ სიაში არც ვაპირებდი ყოფნას, ამიტომ ეს ყველაფერი მათი პრობლემაა და მე არ მაინტერესებს. ამიტომაც იმკიან ახლა იმას, რა პრობლემების წინაშეც დგანან. მთავარი მომენტი ჩემთვის არის ის, რომ გრიგოლ ვაშაძემ დააფიქსირა სახელმწიფოებრივი პოზიცია, რა მნიშვნელობა აქვს, პარტიის თავმჯდომარეა თუ არა. სახელმწიფოებრივი პოზიცია აქვს ამ ადამიანს და სახელმწიფოებრივი აზროვნება. მე მის პოზიციას ვიზიარებ.

– ვანო მერაბიშვილი არ ჩანს, არც წინასაარჩევნოდ გამოჩენილა. რა ხდება, ისევ რუხი კარდინალია?

– არ ვიცი, ეს მათი პრობლემაა. თუ ივანიშვილის ჩრდილოვან მმართველობას ებრძვიან, ჩრდილოვანი მმართველი, მერაბიშვილი, მე ამ ქვეყანაში არ მჭირდება!

– რას ელოდებით, მიიღებს ოპოზიცია მეორე ტურში მონაწილეობას და ნაწილი მაინც შევა პარლამენტში?

– ჩემი პოზიციიდან ლაპარაკი ცოტა რთულია, როცა მანდატი არა გაქვს. ყველაზე მარტივად მე შემიძლია ვთქვა, რომ ვაიმე, არ უნდა შეხვიდეთ. დიალოგი უნდა შედგეს და უნდა მოხდეს კონსოლიდაცია, რომ შედეგი მიღებული იყოს. ჩემი მოლოდინი არის ასეთი: მე ვფიქრობ, რომ ეს პარლამენტი შედგება, აქ საუბარია სამართლებრივ ფორმაზე და არა პოლიტიკურ ლეგიტიმაციაზე. თუ ერთპარტიული პარლამენტი იქნა, პოლიტიკური ლეგიტიმაცია ნულია. ადგილობრივ არჩევნებთან ერთად, ხელისუფლებას თავიდან მოუწევს საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. ეს უფრო რეალურია, ვიდრე ახლა ამ არჩევნების გაუქმება. ოპოზიციას ვემხრობი მოთხოვნებში, თუმცა მინდა რეალისტიც ვიყო.

– პომპეოს ვიზიტზე რას იტყვით? რამდენად „გაუპრავებს“ „ოცნებას“ არჩევნებს?

– ამ ვიზიტთან დაკავშირებით გარკვეულ ინფორმაციებს ვფლობ, დღეს ამას ვერ გავამჟღავნებ, თუმცა ერთ რაღაცას გეტყვით. პომპეოს მხრიდან სიურპრიზები იქნება.

– ვისთვის, ხელისუფლებისთვის?

– დიახ, ხელისუფლებისთვის. ხელისუფლებისთვის მოულოდნელი სიურპრიზები იქნება. მეტის თქმა ამ ეტაპზე არ შემიძლია. თემას მეტზე ვერ გავშლი.

არჩევნები გაყალბდა, საქმის გამოსწორების წამალი ხელახალი არჩევნებია“

მურმან დუმბაძე: „ჩემი მრავალწლიანი პოლიტიკური გამოცდილებით შემიძლია გითხრათ, თუ ქვეყანაში არის სამართალი და მშვიდობა, ვერავინ ვერ გამოიყვანს მოქალაქეს ქუჩაში“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გამართულ მოლაპარაკებებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ამერიკის ელჩის რეზიდენციაში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებები გაიმართა. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ შეხვედრაზე?

– მოლაპარაკებები კარგია. კარგია, როდესაც ადამიანებს ერთმანეთთან დიალოგი შეუძლიათ, ამაში არაფერი ცუდი არ არის.

– რა არის მოლაპარაკებების თემა? თუ სუფთა ფურცლიდან იწყება საუბარი ყოველგვარი წინაპირობების გარეშე?

– არა, არა, მოლაპარაკების თემა უნდა იყოს, როდის ინიშნება ახალი არჩევნები. როგორ უნდა შევარჩიოთ ცესკოს ახალი ადმინისტრაცია. უნდა მივიღოთ გარანტიები, რომ არჩევნები ერთხელ და საბოლოოდ ამ ქვეყანაში „ქურდულმა სამყარომ“ კი არა ცესკოს ადმინისტრაციამ ჩაატაროს ნეიტრალურად და მიუკერძოებლად. ცხადია, თითოეული ეს საკითხი ხელისუფლებასთან არის მოსალაპარაკებელი. ამიტომ, მივესალმები ამ დიალოგს. მივესალმები, როდესაც განსხვავებულ მხარეებს შეუძლიათ დასხდომა და საუბარი.

– თუმცა, ცოტა ხნის წინ გრიგოლ ვაშაძემ გვითხრა, მოლაპარაკებები ჩაიშალაო.

– კი, თქვა, მოლაპარაკებები ჩაიშალაო, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალი შანსი გამოჩნდა. მოლაპარაკებების მინიმალური შანსი არსებობს და ეს გამოჩნდა, რასაც მივესალმები. ვნახოთ, როგორ დასრულდება დიალოგი, ეს ძალიან მალე გამოჩნდება.

– როგორ ფიქრობთ, რამ აიძულა გრიგოლ ვაშაძე, რომ პირველი განცხადება გაეკეთებინა?

– გრიგოლ ვაშაძე მაღალი კლასის დიპლომატია. მან უფრო დიპლომატიურ ენაზე თქვა ის, რაც მე ახლა გითხარით. ის არ უარყოფს, რომ ქუჩაში აქციები უნდა გაგრძელდეს. ერთადერთ რამეს ამბობს: შედეგის მისაღწევად საჭიროა მოლაპარაკებების დაწყება. შინაარსობრივად მე განსხვავებულს აქ ვერაფერს ვხედავ. მას არაფერი განსაკუთრებული არ უთქვამს.

– თქვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა მისი პირველი განცხადება?

– არა, არ ყოფილა მოულოდნელი. ქუჩის აქციებს მოლაპარაკებები რომ ჯობია, ამაში ყველა მხარე ვთანხმდებით. იმაშიც ყველა ვთანხმდებით, რომ 31 ოქტომბრის არჩევნები გაყალბდა. ამიტომ, პოლიტიკური პარტიები გადაწყვეტილებებს ღებულობენ საქართველოს მოქალაქეების ნების შესაბამისად. ამ არჩევნებზე მილიონი ხმა მიიღო ოპოზიციამ. თუ ვინმეს სურს, რომ მილიონ მოქალაქეს უთხრას – არა უშავს, ისე იყოს, როგორც ივანიშვილი იტყვის და ახლა სახლში შედი, – ეს არავის არ გაუვა, ძალიანაც რომ უნდოდეს. რაც არ უნდა მაღალი კლასის პოლიტიკური ლიდერი იყოს, ის საქართველოს მოქალაქის ნების წინააღმდეგ ვერ წავა.

ვერავინ ვერ აღიარებს ამ არჩევნების შედეგებს. საქართველოს მოქალაქის სახლში შეყვანა მხოლოდ ერთადერთი გზით არის შესაძლებელი, ეს არის სიმართლის დადგენა. პროცესი უკვე გასცდა პოლიტიკოსების ნებასა და სურვილს. ახლა, თავის სურვილსა და ნებას კარავში მყოფი საქართველოს მოქალაქეები გვკარნახობენ. ამიტომ, მე ვერ ვეტყვი ბათუმის ქუჩებში კარავში მყოფ ადამიანს, რომელიც ამ სიცივეში იქ ათენებს და აღამებს, სახლში წადი. ჩემი მრავალწლიანი პოლიტიკური გამოცდილებით შემიძლია გითხრათ: თუ ქვეყანაში არის სამართალი და მშვიდობა, ვერავინ ვერ გამოიყვანს მოქალაქეს ქუჩაში, ეს შეუძლებელია, რა მაღალი კლასის პოლიტიკოსიც არ უნდა იყო. ხალხი ქუჩაში ვინმეს გამო კი არ გამოდის, საკუთარი თავის გამო გამოდის. ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს. იქნება სამართალი, იქნება მშვიდობა.

– ამ სტატუსკვოთი, შეიძლება პარლამენტში შესვლის საკითხი განიხილოს?

– შესაძლებელია, არ გამოვრიცხავ, რომელიმე მხარემ ან ხელისუფლებამ, ან საერთაშორისო შუამავლებმა ეს საკითხი დასვან, მაგრამ ოპოზიციის მხრიდან ეს საკითხი აღარ განიხილება.

– შეიძლება ვინმემ განიხილოს? უშვებთ ამას?

– არა. ეს საკითხი არ განიხილება ოპოზიციაში. ამ საკითხზე ოპოზიცია ჩამოყალიბებულია და მას ერთიანი პოზიცია აქვს. ბარიერგადალახული ოპოზიციური ძალები პარლამენტში არ აპირებენ შესვლას. თუ ხელისუფლება მარტო შედის, ეს მისი გადასაწყვეტია. ასეთი პარლამენტი რამდენად იქნება ლეგიტიმური, რამდენად ექნება საერთაშორისო მხარდაჭერა, რამდენად შეძლებენ საკანონმდებლო საქმიანობას, რამდენად მიიღებენ ქვეყნისთვის საჭირო კანონებს, ეს მათი გადასაწყვეტია. ჩვენ ამ საქმეში ვერ ჩავერევით. ჩვენ უსამართლობას ასევე უსამართლობით ვერ უპასუხებთ, მხოლოდ სამართლიანობა არის ამ ჩიხიდან გამოსავალი. არჩევნები გაყალბდა. ამ საქმის გამოსწორების წამალი მხოლოდ ხელახალი არჩევნებია ახალი ცესკოს პირობებში.

– თუ ახალ არჩევნებზე არ მოდის ხელისუფლება?

– თუ არც ხელახალ არჩევნებზე არ წამოვა და არც ვადამდელ არჩევნებზე, მაშინ აქციები გაგრძელდება და ვნახოთ, როგორ შეძლებს ხელისუფლებაში ყოფნას. ვფიქრობ, გაუჭირდება. ხალხს ამ ქვეყანაში ყოველთვის უპოვია სამართალი და ახლაც იპოვის. შეუძლებელია ასე გაგრძელდეს.

ვახტანგ მაისაია: „ძალიან რთული გეოსტრატეგიული გარემო შეიქმნა ჩვენს საწინააღმდეგოდ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, ჩვენ ვოცნებობდით, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიიდან გასულიყო, მაგრამ პირიქით მოხდა, აზერბაიჯან-სომხეთის ზავით რუსული გავლენა უფრო გაძლიერდა, რუსეთმა უფრო ძლიერად მოიკიდა ფეხი კავკასიაში. თქვენ როგორ აფასებთ ამ ზავს და რუსეთის როლს?

– მნიშვნელობა აქვს იმას, რუსეთი კავკასიაში როგორ გაძლიერდა. მოვლენების ამგვარ განვითარებას ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ვპროგნოზირებდი, მათ შორის, თქვენთან ინტერვიუებშიც ვამბობდი, რომ 1921 წლის თებერვლის აჩრდილი კავკასიას უკვე მოადგა და ეს რეალური სცენარია-მეთქი. იმასაც ვპროგნოზირებდი, რომ მთიან ყარაბაღში რუსები შეიყვანდნენ სამშვიდობო კონტინგენტს, რუსეთი ყოველგვარი ცერემონიის გარეშე მოგვთხოვდა სამხედრო ტრანზიტის შესრულების უფლებას და რუსეთ-თურქეთის ალიანსი კავკასიაში მათ გაძლიერებას მოასწავებდა, რაც ფაქტია.

– თუმცა, ეს მაინც პროგნოზი იყო და არ გვინდოდა რეალობად ქცეულიყო.

– ჩემი პროგნოზი იყო რეალისტური. ამას იმიტომ კი არ ვამბობდი, წინასწარმეტყველის სტატუსი მომნიჭებოდა, ჩვენს ხელისუფლებას, საზოგადოებას ვაფრთხილებდი, რომ გამოვფხიზლებულიყავით, მიგვეღო შესაბამისი ზომები და ეს სცენარი გაგვეთვალისწინებინა.

სამწუხაროდ, დღეს ამას ერი და ბერი ვერ აცნობიერებს. მხედველობაში მყავს ხელისუფლება, რომელიც ვერ აცნობიერებს, რა მოხდა 2020 წლის 10 ნოემბერს. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, მაშინდელი საზოგადოება ვერ აცნობიერებდა, რა სერიოზული საფრთხეების წინაშე იდგა საქართველო. ფიქრობდნენ, ერთი ხელისუფლება მეორეთი შეიცვალა, მენშევიკები ბოლშევიკებმა ჩაანაცვლეს.

ახლაც მსგავსი სიტუაციაა. მერე რა მოხდა, სამხედრო ფრენები განხორციელდა, რუსეთმა გამოიყენა საქართველოს საჰაერო სივრცე. გადაისროლა სამხედრო კონტინგენტი. 10-მა სამხედრო თვითმფრინავმა (ილ-76-მა და ალ-124-მა) გადაუშუნილა საქართველოს ტერიტორიას, ჩაფრინდა სომხეთის დედაქალაქ ერევანში და იქიდან გზა განაგრძო მთიანი ყარაბაღის მიმართულებით, ანუ რუსეთმა უკვე სამხედრო გზები გახსნა. ჩვენ გვინდა თუ არა, ასეა.

რაც უფრო საინტერესოა, ეს ინფორმაცია გვამცნო „სპუტნიკმა“, მაგრამ სანამ „სპუტნიკი“ გაავრცელებდა, აღნიშნული ინფორმაცია ჩემმა აზერბაიჯანელმა კოლეგებმა მომაწოდეს, დამირეკეს და მითხრეს, თქვენ რომ ამბობდით, ისე ხდება, უკვე დაიწყო სამხედრო ტრანზიტიო. მე ეს ინფორმაცია ხუმრობა მეგონა, მაგრამ შემდეგ ხელისუფლებამაც დაადასტურა.

– ამ შემთხვევაში, ალბათ, აზერბაიჯანი და სომხეთი თანახმა იყვნენ.

– ეჭვი მეპარება, აზერბაიჯანი და სომხეთი თანახმა ყოფილიყვნენ, როგორც ჩანს, ქართულ საზოგადოებას მიეწოდება შერბილებული ვარიანტი, თუ რატომ განხორციელდა ტრანზიტი. სომხეთისა და აზერბაიჯანის არავითარი თხოვნა არ იქნებოდა. სომხეთში ისეთი არეული სიტუაციაა, სომხეთის ხელისუფლებას არ სცხელოდა, ჩვენთვის ეთხოვა, აზერბაიჯანის ხელისუფლებას, მით უმეტეს. მათთვის სულერთი იქნებოდა, რუსები როგორ განახორციელებდნენ საჰაერო ფრენებს. ამიტომ ის მითი, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის თხოვნით განხორციელდა ფრენები, არბილებს იმ მოვლენას, რასაც ჰქვია რუსული სამხედრო ტრანზიტის განხორციელება ჩვენი საჰაერო სივრცის გამოყენებით.

სომხეთში ისეთი სიტუაციაა, ფაშინიანი, საერთოდ, დაკარგულია. ინფორმაცია გავრცელდა, ფაშინიანი ამერიკის საელჩოს აფარებს თავსო. სომხეთში, შეიძლება, სახელმწიფო გადატრიალებაც კი მოხდეს და ფაშინიანმა, საერთოდ, დაკარგოს ძალაუფლება. სამხედრო მაღალჩინოსნებმა მასობრივად თადარიგში გასვლა დაიწყეს. სერიოზული საპროტესტო მუხტი იქმნება.

– აზერბაიჯანს რუსი სამშვიდობოების შეყვანა რამდენად აწყობდა?

– აზერბაიჯანელებისთვის რუსი სამხედრო კონტინგენტის შეყვანა დიდად სახალისო მოვლენას არ წარმოადგენს. პუტინმა ალიევს ულტიმატუმი წაუყენა. ულტიმატუმამდე რუსეთმა დაიწყო სამხედრო მუსკულების დემონსტრირება.

– როგორ?

– აზერბაიჯანის მხარისგან ჩუმად განახორციელა ე.წ. ფარული მანევრი და თავისი სამხედრო კონტინგენტი დაძრა მთიანი ყარაბაღის მიმართულებით.

ეს მოხდა მანამდე, სანამ ალიევი პუტინს დათანხმდებოდა. სამხედრო ვერტმფრენიც შემთხვევით არ ჩამოუგდიათ. აზერბაიჯანმა გამოიყენა სამხედრო ძალა ამ კონტინგენტის შესაკავებლად.

– ანუ რუსეთი უკვე იყო ჩართული ბრძოლებში სომხეთის მხარეს?

– რა თქმა უნდა. რუსეთმა გამოიყენა თავისი ძალის პრიმატი იმისათვის, რომ აზერბაიჯანის სამხედრო ძალები არ შესულიყვნენ სტეფანაკერტში და არ დაეკავებინათ მთიანი ყარაბაღის დანარჩენი ტერიტორია. ეს იყო რეალობა. სანამ გაფორმდებოდა ხელშეკრულება, რუსული სამხედრო კოლონა მანამდე დაიძრა მთიანი ყარაბაღის მიმართულებით.

– მაშინ აზერბაიჯანელებს რა აზეიმებთ?

– აზერბაიჯანელებს აზეიმებთ ის, რომ მათ დაიბრუნეს თავისი ოკუპირებული ტერიტორია. აზერბაიჯანმა დაიბრუნა მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფებით მოსახლე რაიონი და ამ აზერბაიჯანული ანკლავის დედაქალაქი შუშა. ფაქტობრივად, ამ ეტაპზე აღდგენილია 1992 წლის სტატუს ქვო. ეს არის დიდი წარმატება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე ვერ მიიყვანა თავისი გეოსტრატეგიული ჩანაფიქრი, აზერბაიჯანი მაინც კმაყოფილია. თან სამი რაიონი ბრძოლის გარეშე დაიბრუნა. ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე სომხური მხარე ვალდებულია, აზერბაიჯანს გადასცეს დარჩენილი სამი რაიონი, რომლის აღება აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა ვერ მოასწრეს.

– სომხეთისთვის რუსეთის დახმარება რაში მდგომარეობდა, თუ სომხეთმა აზერბაიჯანს სამი რაიონი უბრძოლველად უნდა დაუთმოს?

– დახმარება ის იყო, რომ, უბრალოდ, ოკუპირებული ტერიტორია გაიცვალა მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე. სომხეთმა მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის 70%-ზე კონტროლი შეინარჩუნა. შეინარჩუნა ასევე ვაჩინის კორიდორი, რომელსაც უფრო მეტი უსაფრთხოება მიენიჭა, ვიდრე მანამდე.

ანუ შეინარჩუნა სომხეთსა და მთიან ყარაბაღს შორის არსებული კომუნიკაციური ხაზი, დერეფანი და შეინარჩუნა მთიანი ყარაბაღის 70%. ამ ვითარებაში სომხებისთვის ეს დიდი მიღწევა უნდა იყოს.

– თუ დიდი მიღწევაა, ფაშინიანს რატომ ემდურიან?

– სომხებს უფრო მეტი უნდათ. სომხებმა სამხედრო მარცხი განიცადეს, პოლიტიკური მარცხი კი არ განუცდიათ. პრინციპში აღდგა ის სიტუაცია, რაც არსებობდა 1992 წლამდე. სომხებმა თავის დროზე მთლიანად დაიკავეს მთიანი ყარაბაღი და შვიდი ოკუპირებული რაიონი. აზერბაიჯანმა აღადგინა ის მდგომარეობა, რაც მანამდე არსებობდა. ჩვენ რომ აღვიდგინოთ ის სტატუს ქვო, რაც 1992 წლის 14 აგვისტომდე აფხაზეთში იყო, ხომ კარგი შედეგი იქნება ჩვენთვის?

– რა თქმა უნდა, კარგი შედეგი იქნება.

– ამდენად, აზერბაიჯანისთვის ეს არის დადებითი მომენტი.

– მაშინ, როდესაც ყარაბაღში უკვე რუსები დგანან, აზერბაიჯანი მოვლენების უარყოფითად გაგრძელებას არ უნდა ელოდოს?

– ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ დღეს ეს ვითარებაა. ორი დღის წინ რუსეთისა და თურქეთის მხარეებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის თანახმად შუშაში განთავსდება რუსულ-თურქული მონიტორინგის ცენტრი, რომელიც სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობას დააკვირდება.

აქ განმეორდა სირიის ვარიანტი, ანუ სირიაში, იდლიბში, ასეთი ცენტრი არსებობს. ამ ცენტრის მთავარი მისიაა, რუსეთსა და თურქეთს შორის ოპერატიული ინფორმაციების გაცვლა, სამშვიდობო ოპერაციის მონიტორინგის განხორციელება და ამ ოპერაციის ტექნიკური და ლოჯისტიკური უზრუნველყოფისთვის პირობების შექმნა. ეს შედის ახლა უკვე კავკასიაში ამ ცენტრის ფუნქციებშიც.

ძალიან საინტერესო ფაქტები მოხდა 2020 წლის 10 ნოემბერს. 10 ნოემბერს დილის 10 საათზე პუტინმა ალიევთან ამ შეთანხმებას ხელი მოაწერა, მთიან ყარაბაღში შევიდნენ რუსი სამხედროები და სამხრეთ კავკასიაში რუსული სამხედრო გავლენა გაძლიერდა. დილით 4 საათზე პუტინმა კიდევ ხელი მოაწერა მეორე საინტერესო დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც რუსეთმა სუდანში გახსნა თავისი სამხედრო ბაზა, რაც საინტერესო ფაქტია, რადგან ეს სამხედრო ბაზა თურქული სამხედრო ბაზის შორიახლოსაა.

საღამოს 8 საათზე პუტინმა ასევე ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის მეშვეობითაც შეიქმნა ახალი ბირთვული ძალების ოპერატიული შტაბი. ამდენად, კავკასიასა და აფრიკაში პუტინმა ერთდროულად ექსპანსია დაიწყო.

– ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანმა აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა (რუსეთის შუამავლობით), ჩვენთვის ეს რას ნიშნავს?

– არაფერ კარგს. ფაქტობრივად, ჩვენ ვართ უსაფრთხოების ჩიხში მოქცეული. გეოსტრატეგიული გარემო იმაზე უარესია, ვიდრე ჩვენ შეგვეძლო წარმოგვედგინა. ბატონი პომპეო ამიტომაც ჩამოდის, რომ სიტუაციაში გაერკვეს.

– ჩვენ რა პოზიცია უნდა დავიკავოთ იმ სიტუაციაში, რაც ხდება ჩვენს ირგვლივ?

– რა გითხრათ? ჩამოვა პომპეო, მესიჯებს ჩამოგვიტანს და ნათელი გახდება. როგორც ჩანს, ამერიკაც მიხვდა, რომ კავკასიაში პოზიციები დაკარგა, მისი მატარებელი წავიდა. ამერიკამ, სამწუხაროდ, 4 წლის განმავლობაში კავკასიის რეგიონში პოზიციების გამყარების შესაძლებლობა გაუშვა და მიიღო ის რეალობა, რომ დღეს კავკასიაში რუსულ-თურქული ჰეგემონობაა, რომელიც დასავლეთის წინააღმდეგ არის მიმართული.

– ახლახან მოვისმინე ერთ-ერთი ამერიკელი გენერლის განცხადება, საქართველოს უნდა დავეხმაროთ საზღვაო და საჰაერო სამხედრო ძალების გაძლიერებაშიო. როგორ ჩანს, ამ აზრამდე მივიდა ამერიკული სამხედრო პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

– 17-18-ში პომპეო ჩამოვა და გამოჩნდება, რასთან გვაქვს საქმე. მანამდე ვერაფერს გეტყვით. მანამდე გეტყვით, რომ ძალიან რთული გეოსტრატეგიული გარემო შეიქმნა ჩვენს საწინააღმდეგოდ.

ლევან გოგიჩაიშვილი: „მე ხმები ბიძინა ივანიშვილმა მომპარა“

– ბიძინა ივანიშვილი თავს გრძნობს წმინდანად „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მიმართებაში, მაგრამ ის ვერ იგრძნობს ჩვენთან მიმართებაში ვერაფერს.

ამის შესახებ „ერთიანი საქართველო-სოლიდარობის ალიანსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ლევან გოგიჩაიშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ განაცხადა.

როგორც გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, ადრე თუ გვიან, ხელისუფლებას მოუწევს ხელახალი არჩევნების დანიშვნა, რადგან წარმოუდგენელი დისკომფორტი ექნება.

– მე ხმები მომპარა ბიძინა ივანიშვილმა, ხმები მომპარა „ქართულმა ოცნებამ“, დაგვსაჯა ბიძინა ივანიშვილმა თავისი ჭკუით. სამჯერ მეტი „გირჩი“ ურჩევნია პარლამენტში, ვიდრე ლევან გოგიჩაიშვილი, იმიტომ, რომ ბევრთან ის მორალურ უპირატესობაშია და ჩვენთან – არა. ის თავს გრძნობს წმინდანად „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მიმართებაში, მაგრამ ის ვერ იგრძნობს ჩვენთან მიმართებაში ვერაფერს.

შტოებს შორის დაბალანსებული ურთიერთობა, ეკონომიკური განვითარება და კანონის უზენაესობა – ყველაფერი მოშლილია. ერთი ადამიანის ხელში როდესაც ექცევა ინსტიტუციები, რა მნიშვნელობა აქვს, მას საკაკაშვილი ერქმევა თუ ივანიშვილი? – განაცხადა გოგიჩაიშვილმა და დასძინა:

– ჩვენი ხმები დაწვეს, ჩვენი ხმები შერეულია „ქართული ოცნების“ ბიულეტენებში.

მისი თქმით, იმისთვის, რომ მივიღოთ ვადამდელი არჩევნები, საჭიროა, არ მოხდეს 91 დეპუტატის ლეგიტიმაცია.

– ეს არის მთავარი ამოცანა. ეს წარმომიდგენია მხოლოდ იმ დეპუტატების არშესვლით პარლამენტში, ვინც თქვა, რომ არ შევა, რადგან არჩევნები გაყალბდა. რასაც ჩვენ ვუსმენთ ბოლო ორი დღის განმავლობაში, როგორც ჩანს, ბევრი ადამიანი აპირებს საკუთარი სიტყვის გატეხვას, რადგან ომახიანი პოზიციები აღარ იგრძნობა. მე არ დავასახელებ კონკრეტულ გვარებს, მაგრამ ასე ჩანს, – განაცხადა გოგიჩაიშვილმა.

მისივე თქმით, თუ ოპოზიციური პარტიები სიტყვას გატეხენ, შეიძლება ძალიან მძიმე პერიოდში შევიდეთ, რადგან დემოკრატიულობის პროცესი ძალიან დაზიანდება.

– დღევანდელი ხელისუფლება რატომ არის ასეთი? იმიტომ, რომ თავის დროზე ლევან თარხნიშვილი არ მისცეს პასუხისგებაში და ყველა ის ადამიანი, ვისაც არჩევნები აქვს გაყალბებული. პროკურორებს და მოსამართლეებს არ ვაგებინეთ პასუხი. თუ ყველას ყველაფერი შერჩება, ბიუჯეტის ქურდებს არ ვაგებინეთ პასუხი, იგივეს გააკეთებს კალაძე, იგივეს გააკეთებს ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი და პროკურორიც იგივენაირად მოიქცევა და სახელმწიფოს ვერასდროს შევქმნით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერს აზრი არ აქვს ამ ქვეყანაში, ვიქნებით ტერიტორია, სადაც იქნება ნახევრად მაფიოზური, ნახევრად კარტელური სიტუაციაა, ლათინური ამერიკის პატარა დიქტატორული ქვეყანა, რომელიც ფულს მარიხუანით შოულობს, კაზინოებით და მოსახლეობის 95% სილატაკეშია, დანარჩენ 5%-იან ელიტას უჭირავს სიტუაცია ხელში, – განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა.

დავით ბაქრაძე: „ჩვენ ისევ ახალ არჩევნებს ვითხოვთ“

– ნუ გვექნება მოლოდინი, რომ ერთი ან თუნდაც ორი შეხვედრით რაიმე გადაწყდება, ეს არის უმძიმესი თემა.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით ბაქრაძემ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რეზიდენციაში ოპოზიციის ლიდერებისა და უმრავლესობის წარმომადგენლების შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ახალი არჩევნების ჩატარების გარეშე, ქვეყანაში კონსოლიდაცია ვერ მოხდება.

– ქვეყანა არის პოლიტიკურ კრიზისში. განსხვავებები არის უზარმაზარი. ჩვენი, როგორც პასუხისმგებლიანი ძალების ამოცანა არის, რომ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ვეცადოთ კომპრომისის გამოძებნა. იმედი მაქვს, საბოლოოდ მოვახერხებთ შეთანხმებისკენ წასვლას, – განაცხადა ბაქრაძემ.

თუმცა, მისი თქმით, შესაძლოა, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შეთანხმება ვერ შედგეს.

– არ გამოვრიცხავ, რომ შეთანხმება ვერ შედგეს. ამის მაღალი ალბათობა არსებობს. ჩვენი პოზიცია აბსოლუტურად ნათელი და მტკიცეა. ახალი არჩევნების გარეშე ქვეყანაში კონსოლიდაცია ვერ მოხდება. თუ მმართველი გუნდიც ბოლომდე იქნება იმ პოზიციაზე, რომ, მათი აზრით, ამ კრიზისში დარჩენა სჯობს და ერთპარტიული პარლამენტი, ვიდრე ახალი და სამართლიანი არჩევნები, ბუნებრივია, მაღალი ალბათობა არსებობს, რომ შეთანხმება ვერ შედგება, – განაცხადა ბაქრაძემ.

„სიცრუეა, რომ სასამართლოებმა საარჩევნო სარჩელების 99% არ დააკმაყოფილეს“ იუსტიციის საბჭოს განცხადება

იუსტიციის უმაღლესი საბჭო პოლიტიკოსების განცხადებას ეხმაურება და ამბობს, რომ სიცრუეა, რომ სასამართლოებმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გადასინჯვასთან დაკავშირებით სარჩელების 99% არ დააკმაყოფილა.

ამის დასამტკიცებლად იუსტიციის საბჭო სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს:

„საერთო ჯამში, საქართველოს საერთო სასამართლოებში შესულია 96 სარჩელი. აქედან 60 სარჩელით მოთხოვნილი იყო სხვადასხვა საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა ან ხელახალი გადათვლის დავალება. სასამართლოს მიერ, საარჩევნო უბნების შედეგების გადასინჯვის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელების 16%-ზე მეტის დაკმაყოფილების გზით, 17 საარჩევნო უბანი დაექვემდებარა ხელახლა გადათვლას, ხოლო ერთ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის შედეგები ბათილადაა ცნობილი.

სარჩელების დანარჩენი ნაწილი კი (სარჩელების საერთო რაოდენობის 37%-ზე მეტი), შეეხებოდა არაუფლებამოსილი სუბიექტების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილი საჩივრების განუხილველად დატოვების კანონიერებას“ – წერია განცხადებაში.

უწყების განცხადებით, არაუფლებამოსილი პირების მიერ წარდგენილი სარჩელები სასამართლომ არ განიხილა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყველა სუბიექტს მოუწოდებს, რომ საარჩევნო დავების განხილვის შესახებ გაავრცელონ მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც სასამართლოში საქმეთა მოძრაობის რეალურ მონაცემებს ეფუძნება.

ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔ

ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘᲐ 1 ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲘ

12 ნოემბერს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე, საცხოვრებელ კორპუსში ხანძარი გაჩნდა. ნაპოვნია 1 ცხედარი.

ხანძარი კორპუსის მეხუთე სართულზე გაჩნდა. ადგილობრივების ინფორმაციით, მათ გაიგეს აფეთქების ხმაც.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის, ოთარ კერესელიძის განცხადებით, თამარაშვილის ქუჩაზე, სადაც საცხოვრებელ ბინაში ხანძარი გაჩნდა, მეხანძრე-მაშველებს ასაკოვანი მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ.

როგორც კერესელიძემ ადგილზე მყოფ ჟურნალისტებს განუცხადა, ხანძრის გავრცელების საშიშროება იყო, თუმცა, ხანძრის კერის ლიკვიდირება დროულად მოხერხდა.

– ხანძრის დროული ლოკალიზება მოხდა. ხანძრის ქრობა მიმდინარეობდა სამი მხრიდან, რადგან კორპუსი გამჭოლია. იყო ხანძრის გავრცელების საფრთხე, თუმცა, მეხანძრე მაშველების დროული რეაგირების შემდეგ მოხდა ლოკალიზება.

სამწუხაროდ, გარდაცვლილია ერთი ასაკოვანი მამაკაცი. როდესაც მეხანძრე-მაშველები ბინაში შევიდნენ, მამაკაცი გარდაცვლილი იყო. ადგილზე იმყოფებოდა ყველა შესაბამისი სამსახური და დაადგენენ მიზეზს, თუ რამ გამოიწვია ხანძარი.

დამწვარია მხოლოდ 1 სახლი, დაახლოებით 35 კვ.მ-ის ფართობის. სახლში, გარდაცვლილი მამაკაცის გარდა, სხვა პირები არ იმყოფებოდნენ. მეზობელი სახლებიდან მოხდა მოსახლეობის გამოყვანა, რაშიც მათ მეხანძრე-მაშველები დაეხმარნენ, – განაცხადა კერესელიძემ.

რუსთავში „აჭარა ფეიდან“ 35.000 ლარი გაიტაცეს

დაკავებულია 2 პირი

რუსთავში კომპანია „აჭარა ფეის“ ფილიალზე თავდასხმისთვის ჯგუფურად ყაჩაღობის ბრალდებით ორი პირი დააკავეს.

შსს-ის ინფორმაციით, ბრალდებულებმა იარაღის გამოყენების მუქარით 35.500 ლარი გაიტაცეს, თუმცა, პოლიციამ ისინი მოხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული შ.თ. და 2000 წელს დაბადებული ნ.თ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ქალაქ რუსთავში ყაჩაღურად თავს დაესხნენ კომპანია „აჭარა ფეის“ ფილიალს, ოპერატორს იარაღის გამოყენების მუქარით ამავე კომპანიის კუთვნილი 35.500 ლარი გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა შ.თ. და ნ.თ. მალევე, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

პოლიციამ, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად, გატაცებული ფული ნივთმტკიცების სახით ამოიღო. ასევე ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – ხმოვანი პისტოლეტი. ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ 1.200.000 ᲚᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲘ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ

დაკავებულია ყაზახეთის მოქალაქე

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო დამზადება-შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის უპრეცედენტოდ მასშტაბური სქემა გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ნარკოდანაშაულის, მათ შორის ინტერნეტით ნარკოტიკების გასაღების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისსა და ბათუმში ჩატარებული ინტენსიური კომპლექსური სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე – 1993 წელს დაბადებული ა.ა. თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული წარმოადგენდა ნარკორეალიზატორთა ჯგუფს და ჩართული იყო ინტერნეტნარკორეალიზაციისა და ნარკოტიკული საშუალება „მეფედრონის“ დამზადების სქემაში. ა.ა. დროებით საცხოვრებელ სახლში, სხვადასხვა ქიმიური საშუალებისა და პრეკურსორებისგან ლაბორატორიული ინვენტარის გამოყენებით ამზადებდა ნარკოტიკულ საშუალება „მეფედრონს“ და შემდეგ მის რეალიზაციას ინტერნეტით ახდენდა. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულისგან ნარკოტიკული საშუალება „მეფედრონის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. ასევე, პოლიციამ მოსამართლის განჩინების საფუძველზე განახორციელა ე.წ. ნარკოლაბორატორიაში ნარკოტიკული საშუალება „მეფედრონის“ დამზადების პროცესის ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

სამართალდამცველებმა, ა.ა.-ს პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ასევე, სხვადასხვა ადგილას მდებარე სამალავებიდან, სულ ამოიღეს 2 კილოგრამი და 300 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეფედრონი“. საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, აგრეთვე, ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება „მეფედრონის“ დამზადებისთვის საჭირო ქიმიური ნივთიერებები, პრეკურსორები და შესაბამისი ლაბორატორიული ინვენტარი.

ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების ღირებულება შავ ბაზარზე 1.200.000 ლარს შეადგენს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით და 266-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲗᲐᲖᲝ ᲒᲝᲠᲗᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐ

გუდაურში მომხდარი თაზო გორთამაშვილის მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის საქმეზე ბრალდებული მერაბ კობიაშვილი 12 ნოემბერს სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

გორის რაიონულ სასამართლოში, სადაც ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურა მიმდინარეობდა, ბრალდებულის საქმეზე საკმარისი ნაფიცი მსაჯულის შერჩევა ვერ მოხერხდა. კობიაშვილს კი 9-თვიან პატიმრობაში ყოფნის ვადა უახლოეს დღეებში ეწურება. შესაბამისად, სასამართლომ მისი დარბაზიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

ადვოკატ ტარიელ კაკაბაძის განცხადებით, სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება დაცვის მხარისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

– დაცვის მხარე ამ გადაწყვეტილებას ელოდებოდა. მიმდინარეობს ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცედურა. დაახლოებით 4 პროცესია წინასწარ დანიშნული და იმედი გვაქვს, რომ ამ პროცესების განმავლობაში შევარჩევთ ყველა ნაფიც მსაჯულს და დავიწყებთ არსებით განხილვას, მტკიცებულებათა გამოკვლევას. ჩვენი მიზანი იყო, რომ საზოგადოების წევრებს, ნაფიც მსაჯულებს გადაეწყვიტათ მერაბ კობიაშვილის ბედი, მაგრამ დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ მის უდანაშაულობას ყველა დაინახავს, – განაცხადა ტარიელ კაკაბაძემ გორის რაიონულ სასამართლოში „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

– ემოციებში ვარ და ვერაფერს ვლაპარაკობ, – ამის შესახებ მერაბ კობიაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ მისი გათავისუფლების შემდეგ განუცხადა.

– დღევანდელ გადაწყვეტილებასთან მიმართებით დარწმუნებული 100%-ით არ ვიყავი, მაგრამ მოლოდინი მქონდა. ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს, მით უმეტეს, როცა ზურგს სიმართლე გიმაგრებს. ჩვენს მხარეს სიმართლეა და ბრძოლას ბოლომდე გავაგრძელებთ, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ბრალდებულის მეუღლემ, ნატა ქიტესაშვილმა.

პროკურორი ზაზა დათუკიშვილი კი დარწმუნებულია, რომ მერაბ კობიაშვილს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საბოლოოდ გამამტყუნებელ ვერდიქტს გამოუტანს.

– საქმეზე მტკიცებულებები ჯერ კიდევ გამოძიების პერიოდში შეგროვდა. ეს პერიოდი დასჭირდა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებს. მოგეხსენებათ, აქ საუბარი არ არის მტკიცებულებების მოპოვებაზე. გორის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, რომელიც, სამწუხაროდ, თვეების განმავლობაში გაგრძელდა და ჯერ გვაქვს ის რეალობა, რომ შერჩეულია მხოლოდ 8 ნაფიცი მსაჯული, სულ კი 14 ნაფიცი მსაჯული უნდა იყო შერჩეული. ამ მოცემულობის მთავარი განმაპირობებელი გარემოება არის ის, რომ მსოფლიოში შექმნილი პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება დიდი რაოდენობით ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების მობილიზება.

იგივე, 12 ნოემბრის სხდომა რომ ავიღოთ, გამოცხადებული იყო ნაფიცი მსაჯულების მხოლოდ და მხოლოდ 4 კანდიდატი, უწყება კი 100 ადამიანს ეგზავნება. შესაბამისად, სამწუხაროდ, გვაქვს ის რეალობა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება ნაფიც მსაჯულთა დროული შერჩევა, – განაცხადა პროკურორმა.

შეგახსენებთ, რომ 16 თებერვალს, გუდაურში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს, ერთი კი დაჭრეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართალდამცავებმა მერაბ კობიაშვილი დააკავეს.

კობიაშვილს თავდაპირველად ბრალი მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისთვის წაუყენეს, შემდეგ კი ცემის მუხლით.

ამასთან, პროკურატურამ მერაბ კობიაშვილის მიმართ ჯგუფურად განხორციელებული ძალადობის ფაქტზე ბრალი 6 პირს წარუდგინა და მათი საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო.

ᲛᲔᲑᲐᲟᲔ-ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘᲗ ᲐᲠᲐᲓᲔᲙᲚᲐᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲐᲦᲘᲙᲕᲔᲗᲐ

გაფორმების ეკონომიკური ზონა – „აეროპორტის“ საფოსტო გზავნილების საბაჟო კონტროლის სამმართველოს მებაჟე-ოფიცრებმა, საქართველოს მოქალაქის – ნ.გ.-ს კუთვნილი საფოსტო გზავნილის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა – 14.000 აშშ დოლარი (45.053,4 ლარი) და 5.902 ევრო (34.285 ლარი) აღმოაჩინეს. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

„საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კანონდამრღვევ მოქალაქეს სანქციის სახით, დაეკისრა ფულადი ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის მიზნით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების შემოტანა/გატანა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მკაცრ საბაჟო კონტროლს ექვემდებარება“ – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ ᲣᲑᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲔᲡ

სახელმწიფო გადატრიალების საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში დაკითხვები გრძელდება.

ამჯერად მაგისტრი მოსამართლის თანდასწრებით, სამგორის ერთ-ერთი საარჩევნო უბნის დამკვირვებელი, ვარლამ ლორთქიფანიძე გამოიკითხა. შეკითხვები ძირითადად ოპოზიციის წარმომადგენლებთან ნაცნობობას და მის საქმიანობას ეხებოდა.

– ირაკლი კობახიძე ცესკოდან მიღებული დამკვირვებლების რაღაც სიებით დაწანწალებდა სუსში და ამასთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. სუსი არის გადაქცეული ქუსად, „ქართული ოცნების“ უსაფრთხოების სამსახურად და ამ ხაზს ატარებს, – ამბობს ადვოკატი ბექა ბასილაია.

ლორთქიფანიძე მაგისტრი მოსამართლის თანდასწრებით მას შემდეგ გამოიკითხა, რაც უსაფრთხოების სამსახურში ჩვენების მიცემაზე უარი თქვა, რადგან დარწმუნებულია, რომ სუსი მორიგ პოლიტიკურ საქმეს კერავს.

თავად გამოკითხული ვარლამ ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ჰკითხეს, იცნობდა თუ არა ვანო მერაბიშვილსა და დევი ჭანკოტაძეს. მისი თქმით, მერაბიშვილს არ იცნობს, თუმცა დევი ჭანკოტაძესთან ერთად ცხინვალში იბრძოდა.

შეგახსენებთ, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა სახემ ირაკლი კობახიძემ ე.წ. გადატრიალების გეგმის ავტორებად მიხეილ სააკაშვილი, დიმიტრი შაშკინი და დევი ჭანკოტაძე დაასახელა.

სუსი კი აცხადებს, რომ 2020 წლის პირველ ოქტომბერს გამოძიება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყეს.

მისივე განცხადებით, გამოძიების დაწყების საფუძველი ოპერატიული ინფორმაცია გახდა.

სერგეი ლავროვი: „ყარაბაღში თურქი სამშვიდობოების გაგზავნა არ მოხდება“

– თურქეთის სამშვიდობო მისიები მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე არ გაიგზავნება.

ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა.

– თურქეთის რესპუბლიკის სამშვიდობო ნაწილები არ გაიგზავნება მთიან ყარაბაღში. ეს ლიდერების მიერ ხელმოწერილ განცხადებაში გარკვევითაა ნათქვამი, – განაცხადა სერგეი ლავროვმა.

მისი თქმით, თურქი დამკვირვებლების მობილობის საზღვრები შემოიფარგლება იმ გეოგრაფიული კოორდინატებით, რომლებიც განისაზღვრება რუსულ-თურქული მონიტორინგის ცენტრის განსათავსებელად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც არ არის ყარაბაღთან ახლოს და რაზეც შეთანხმება დამატებით მოხდება.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, თურქეთმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის განმახორციელებელი ერთობლივი ცენტრის შექმნას ითვალისწინებს.

რუსულ-თურქული ერთობლივი ცენტრი აზერბაიჯანში განთავსდება.

ერევანში ოპოზიციის ლიდერები დააკავეს

სომხეთის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურმა ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი დააკავა.

დაკავებულია „დაშნაკცუთიუნის“ პარტიის წევრი არცვიკ მინასიანი, პარტია „სამშობლოს“ წევრი, არსენ ბაბაიანი და პარტია „ეროვნული დღის წესრიგის“ წევრი არა აკოფიანი.

ერევანში 11 ნოემბერს 17 ოპოზიციური პარტიის მიერ ორგანიზებული მასობრივი საპროტესტო აქცია გაიმართა, რომლის მონაწილეებიც ნიკოლ ფაშინიანის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვდნენ. სამართალდამცავებმა აქციის დროს 129 ადამიანი დააკავეს.

ოპოზიცია და საზოგადოების ნაწილი მთიან ყარაბაღში საბრძოლო მოქმედებების დასრულების შესახებ მიღებულ განცხადებას აპროტესტებენ, რომელსაც სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ერთად 9 ნოემბერს მოაწერა ხელი.

აშშ-მ „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის წინააღმდეგ სანქციები გააძლიერა

აშშ-მ პროექტის „ჩრდილოეთის ნაკად -2“-ის წინააღმდეგ სანქციები გააძლიერა. ვაშინგტონი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ეს რუსული პროექტი ჩაიშალოს.

ამერიკელები თვლიან, რომ „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ით ევროპა რუსეთზე ხდება დამოკიდებული.

გერმანია, ავსტრია და ევროპის კიდევ რამდენიმე ქვეყანა ამ პროექტის განხორციელებას მხარს უჭერს.

სამაგიეროდ, „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან პოლონეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და უკრაინა.

ვლადიმერ ზელენსკი საავადმყოფოში გადაიყვანეს

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ კორონავირუსი დაუდასტურდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ზელენსკი კიევში, „კლინიკა ფეოფანიაში“ მკურნალობს, სადაც იზოლირებულ პალატაში იმყოფება.

კოვიდ 19 უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელს, ანდრეი ერმაკსაც დაუდასტურდა, რომელიც იმავე საავადმყოფოშია მოთავსებული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

წინასაქორწინო გადაღება სიძე-პატარძლისთვის საბედისწერო აღმოჩნდა

ინდოეთის კარნატაკას შტატში წინასაქორწინო გადაღება სიძის და პატარძლის დაღუპვით დასრულდა.

28 წლის ჩანდრუს და 20 წლის შაშიკალის ქორწილი მიმდინარე წლის 22 ნოემბერს უნდა გამართულიყო. წყვილმა ნათესავებთან ერთად გადაწყვიტა მდინარე კავერის ნაპირთან მდებარე მიტოვებულ ქალაქში ლამაზი ფოტოსესია გაემართათ. ამისთვის კი მათ ორი ნავი-კორაკლი იქირავეს.

როგორც კი კორაკლი ნაპირს დაახლოებით 30 მეტრის მანძილზე მოშორდა, სიძემ და პატარძალმა ფოტოსურათის გადაღება მოინდომეს. შაშიკალს ფეხზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, მან ამის გამო ნავში წონასწორობის შენარჩუნება ვეღარ შეძლო და მდინარეში გადავარდა. ჩანდრუ მის დახმარებას შეეცადა, მაგრამ ამ დროს ნავი გადაბრუნდა და საცოლესთან ერთად ისიც დაიხრჩო.

კორაკლში სიძე-პატარძლის გარდა მეთევზე და სიძის ერთ-ერთი ნათესავიც იმყოფებოდნენ. მეთევზემ მოახერხა ნაპირამდე მიეცურა, ხოლო სიძის ნათესავი მდინარის ნაპირზე მყოფმა ხალხმა გადაარჩინა. მათ მომხდარის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობეს პოლიციას. დაღუპული სიძე-პატარძლის ცხედრები წყლიდან შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ამოიტანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ოთარ და თამაზ ჭილაძეების კაბინეტი გაიხსნება

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ძმების, ოთარ და თამაზ ჭილაძეების კაბინეტი გაიხსნება. მანამდე კი ბიბლიოთეკა მწერლების უნიკალურ არქივს მიიღებს.

ინფორმაცია ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ გაავრცელა:

– ეროვნულ ბიბლიოთეკაში ძმების, ოთარ და თამაზ ჭილაძეების კაბინეტი გაიხსნება, სადაც წარმოდგენილი იქნება მწერლების წიგნები, მათ შორის უამრავი ავტოგრაფიანი წიგნი, სადაც სხვა მნიშვნელოვანი ავტორების მინაწერებია, პირადი ნივთები, ფოტოები. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ძმების, ოთარ და თამაზ ჭილაძეების კაბინეტი გაიხსნება. მათ დას, თინა ჭილაძეს ვსტუმრობდით და საბოლოოდ შევთანხმდით. ოთახის მხარდამჭერი გამომცემლობა „ინტელექტი“ იქნება.

ბორშჩი უკრაინულ ეროვნულ კერძად აღიარეს

უკრაინაში ბორშჩი საკუთარ, ეროვნულ კერძად აღიარეს. ამის შესახებ ტელეწამყვანმა და კულინარმა ევგენი კლოპოტენკომ განაცხადა და დაამატა, რომ ამ კერძის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესატანად იბრძოლებს.

მისი თქმით, ბორშჩი წარმოადგენს „ძლიერ კულტურულ ფენომენს იმ კითხვის პასუხად „თუ რა აერთიანებს ან ასხვავებს უკრაინელებს სხვა ერებისგან“.

– ჩვენ უბრალოდ კი არ განვაცხადეთ, რომ ბორშჩი უკრაინულია, არამედ ჩვენ წინააღმდეგობა გავუწიეთ რუსეთს და მის პროპაგანდას და ჩვენ მსოფლიომ მხარი დაგვიჭირა, – ხაზგასმით აღნიშნა კლოპოტენკომ.

სმს-ში დაშვებული შეცდომა პოლიციას ბავშვის გამტაცებლის დაჭერაში დაეხმარა

დამნაშავის გაუნათლებლობა დაეხმარა პოლიციელებს ბავშვის გატაცების საქმის გახსნაში, რომელიც ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში მოხდა.

ქალაქ ხარდოის მკვიდრი რვა წლის ბიჭი ბებიის მოსანახულებლად 26 ოქტომბერს წავიდა და გაუჩინარდა. იმავე დღეს მისმა მშობლებმა მიიღეს სმს შეტყობინება.

– მოიტანეთ 200 ათასი რუპიის გამოსასყიდი სიტაპურში, – ნათქვამი იყო შეტყობინებაში, – არ აცნობოთ პოლიციას, თორემ თქვენი შვილი მოკვდება.

სმს-ში სიტყვები „პოლიცია“ და „სიტაპური“ შეცდომებით იყო დაბეჭდილი.

მოგვიანებით ბავშვი მოკლული იპოვეს. მისმა ნათესავებმა პოლიციას ოთხ ნოემბერს მიმართეს. თავდაპირველად ეჭვი ტელეფონის მფლობელზე მიიტანეს, რომლიდანაც გამოსასყიდის მოთხოვნა გაიგზავნა. თუმცა, როგორც გაირკვა, ის ვერ იქნებოდა სმს-ს შეტყობინების ავტორი, ვინაიდან მან წერა-კითხვა საერთოდ არ იცოდა.

პოლიციამ მუშაობა გააგრძელა და მალე კიდევ ათი ადამიანი დააკავეს, რომლებსაც შეესაძლოა დანაშაულთან ჰქონოდათ კავშირი. იმისთვის, რომ ეჭვმიტანილთა წრე შეევიწროებინათ, მათ მოსთხოვეს ტელეფონზე აეკრიფათ ტექსტი, რომელშიც სიტყვები „პოლიცია“ და „სიტაპური“ იქნებოდა.

ერთ-ერთმა დაკავებულმა სწორედ იგივე შეცდომები დაუშვა, რომელიც დაშვებული იყო გამოსასყიდის მოთხოვნის სმს შეტყობინებაში. კაცი მოტაცებული ბავშვის შორეული ნათესავი აღმოჩნდა. ის დააპატიმრეს და ბავშვის მოტაცების და მკვლელობის ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიას რეაბილიტაცია ჩაუტარდა

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ალმატში მდებარე წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიას სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვით და ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით განხორციელდა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ეგიდით განხორციელდა სუსტი და გამოქარული ნაწილების გადაწყობა კირ-დუღაბზე, დაკარგული ნაწილების აღდგენა აგურითა და რიყის ქვით კირ-დუღაბზე, პილასტრების აღდგენა სტანდარტული აგურით, კარ-სარკმლის წირთხლების აღდგენა სტანდარტული აგურით კირ-დუღაბზე, პროექტით ნაჩვენები სარკმლის ქორდისებური მოხაზულობის თავსართების მოწყობა, ინტერიერში კედლების მოჩარჩოების აღდგენა სტანდარტული აგურით კირ-დუღაბზე, რკინა-ბეტონის სარტყლების მოწყობა არსებულ კედლებთან ჩაანკერებით, რკინა-ბეტონის კამარის მოწყობა, სტანდარტული აგურით სამრიგიანი კარნიზების მოწყობა, ლორფინის ფორმის ბურულის მოწყობა მონტერეის ფერადი თუნუქით, იატაკად დაიგოს ქართული აგური, საკურთხეველში ტრაპეზის ფეხის დადგმა ქართული აგურით, ტაძრის გარშემო სარინელად დაიგოს ბრტყელი ქვა.

ტაძრის აგების თარიღი XIX-XX საუკუნეთა მიჯნას უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ნაგებია სტანდარტული აგურის ორრიგიან თარაზულ წყობებს შორის რიყის შერეული ქვით კირ-დუღაბზე.

სტუდია „მაჩაბელამ“ მუშაობა შეწყვიტა

მამუკა ლომაშვილის მიერ დაარსებულმა სტუდიამ „მაჩაბელა“ მუშაობა შეწყვიტა.

ინფორმაცია სტუდიის ხელმძღვანელმა ინტერნეტში თავად გაავრცელა:

– აღნიშნული ეპიდ. მდგომარეობის გამო, „მაჩაბელა“ დროებით წყვეტს მუშაობას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პენსიონერ წყვილს სახლში უძვირფასესი თასი აღმოაჩნდა

ბრიტანელ პენსიონერებს ბინაში აღმოაჩნდათ უძველესი თასი პუნშისთვის, რომელიც 100 ათას ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული.

მისმა მფლობელებმა არ იცოდნენ, თუ რა ძვირფას ნივთს ფლობდნენ, სანამ ის ანტიკვარიატის სპეციალისტს არ აჩვენეს. აუქციონის სახლის წარმომადგენლის გაი შვინგეს თქმით, როდესაც მან ეს ნივთი ნახა, ლამის გული გაუჩერდა. მან იცნო ოთხიდან ერთ-ერთი ჩინური თასი, რომელიც 1710 წელს საგანგებოდ ევროპაში გასაყიდად დამზადდა.

ორი ასეთივე თასი ინგლისის მეფე გეორგ IV-მ შეიძინა, რომელიც ბრიტანეთს XIX საუკუნის დასაწყისში მართავდა. ამჟამად ისინი დედოფალ ელისაბედ II-ის და პრინც ჩარლზის საკუთრებას წარმოადგენენ. მესამე თასის ბედი უცნობია.

ბრიტანული მედიისთვის საქართველო გადაიზარდა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ინგლისშია და იქაურებთან სათამაშოდ ემზადებიან. მედიის ყურადღების ცენტრში „ბორჯღალოსნების“ მთავარი მწვრთნელის, ლევან მაისაშვილის კონსულტანტი დევიდ ჰემფრიზი მოექცა.

ბრიტანული მედია წერს, რომ, რა შედეგითაც უნდა დასრულდეს შაბათს „თვიქენჰემზე“ ინგლისთან გასამართი მატჩი, საქართველოს 6 ერში მოსახვედრად მაინც საკმარისი არგუმენტები აქვს:

– გარდამავალ პერიოდში ქართველ მორაგბეებს არ ჰყოფნით გამოცდილება და სათამაშო დრო, თუმცა ისინი უარს ვერ იტყოდნენ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს გუნდებთან თამაშის შესაძლებლობაზე. საქართველოს ნაკრები შუალედურ მდგომარეობაშია – კონტინენტის მე-2 დონის ჩემპიონატისთვის გადაიზარდნენ და უკანასკნელი 13 გათამაშებიდან 11 მოიგეს, თუმცა მაინც არ ეძლევათ 6 ერში შესვლის შესაძლებლობა. ეს ტურნირი კვლავ ჩაკეტილია, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში იტალია საშინელ შედეგებს აჩვენებს.

როგორც უკვე იცით, საქართველოს „შემოდგომის ერთა თასზე“ მონაწილეობა სიცარიელის შევსებად შესთავაზეს და „ბორჯღალოსნებს“ რთული, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ამოცანისთვის მზადება ფორსირებულ რეჟიმში მოუწია.

უახლოეს კვირებში მათი თამაშის ხარისხი და შედეგები განიხილება მაჩვენებლად, მზად არის თუ არა საქართველო უფრო მაღალ დონეზე სათამაშოდ, თუმცა ჰემფრიზი ირწმუნება, რომ მოკლევადიანმა სირთულეებმა მათ ამისი შესაძლებლობა არ უნდა წაართვას.

დევიდ ჰემფრიზი:

– მოსამზადებელი პერიოდის ნაკლებობა იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს ძალიან გაუჭირდება. მათ სურთ მაღალ დონეზე თამაში და მიიღეს შესაძლებლობა, რომელზეც უარს ვერ იტყოდნენ. საქართველოს შესახებ მხოლოდ შედეგების მიხედვით არ უნდა ვიმსჯელოთ. მათ ჰყავთ ახალგაზრდული შემადგენლობა, რომლებმაც ძალიან კარგად ითამაშეს 20-წლამდელთა დონეზე, თუმცა მორაგბეთა დიდ ნაწილს არ უთამაშია თებერვლის ან მარტის შემდეგ. მათაც კი, ვინც წამყვან ფრანგულ კლუბებში თამაშობს, სათამაშო დრო შეზღუდული აქვთ. წამყვან მორაგბეთა ერთი ნაწილი ტრავმირებულია, მეორე ნაწილი კი, რომელთა გარშემოც უკანასკნელი წლების განმავლობაში გუნდი შენდებოდა, პენსიაზე გავიდა.

საქართველო ინგლისს პირველად ეთამაშება მსოფლიო თასს მიღმა. მათი მიზანია, რომ „შემოდგომის ერთა თასის“ დასკვნით მატჩს საუკეთესო ფორმაში შეხვდნენ, სადაც, პოტენციურად, იტალიასთან მოუწევთ თამაში. ამ მოვლენის მასშტაბი კარგად ესმით მოთამაშეებს, მწვრთნელებს და ემოციურ გულშემატკივრებს.

– ვიმედოვნებ, ტურნირის ბოლო მატჩს მორაგბეები მომზადებულები შეხვდებიან, რადგან მისი შედეგი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინგლისთან, ირლანდიასთან და უელსთან მატჩის შედეგები. ტურნირის დაწყებას ყველა დიდი მღელვარებით ელოდება. საქართველო, როგორც სარაგბო ქვეყანა, ამბიციურია, რაგბი ქვეყანაში სპორტის პოპულარული სახეობაა და სახელმწიფოსგან კარგად ფინანსდება. მათ ჰყავთ კარგი შემსრულებლები და აქვთ შედარებით კარგი მოსამზადებელი პირობები. ყველამ იცის, რომ რუსეთთან მატჩს 50-60.000 მაყურებელი ესწრება და მოთხოვნა კიდევ უფრო დიდი იქნება, თუ ისინი 6 ერის ნაწილი გახდებიან. ეს ტურნირი ქართველ მორაგბეებს და სამწვრთნელო შტაბს აჩვენებს, თუ რა აქვთ გასაკეთებელი, რათა მოახდინონ საკუთარი ამბიციის რეალიზება და 6 ერში ითამაშონ. მათ მოუწევთ მრავალი დაბრკოლების გადალახვა და ამისათვის მზად არიან, რადგან სწამთ, რომ შორეულ პერსპექტივაში უდიდესი პოტენციალი გააჩნიათ.

თანაგუნდელები გიორგი შერმადინს ხაჭაპურს სთხოვენ

ესპანეთის საკალათბურთო ლიგაში ოქტომბრის თვის საუკეთესო კალათბურთელად რომ დაასახელეს, უკვე ცნობილი ამბავია. გიორგიმ ესპანურ მედიასთან ისაუბრა. თუმცა, მანამდე როგორ დაახასიათა პრესამ ჩვენებური.

ოქტომბერში გიორგი შერმადინის საშუალო მარგი ქმედების მაჩვენებელი 28.7 იყო, ქულა – 18.3, რაც საკმარისი აღმოჩნდა მისი თვის საუკეთესოდ აღიარებისთვის. სწორედ ქართველის დიდი დამსახურებაა, რომ ტენერიფეს ისტორიაში სეზონის საუკეთესო სტარტი აქვს.

გიორგის შედეგიანობის წყალობით, ტენერიფემ ესპანეთის ჩემპიონატი ეფექტურად დაიწყო და ექვსი ტურის შემდეგ ამდენივე მოგება ჰქონდა, ვიდრე 1 ნოემბერს ბარსელონასთან სტუმრად დამარცხდებოდა. თუმცა, შემდეგ 2 მოგება მიაყოლა და ლიგაში მეორე ადგილზეა.

გიორგი შერმადინი:

– ესპანეთის ჩემპიონატი სექტემბრის ბოლოს დაიწყო, ტენერიფე შეჯიბრებას კარგად მომზადებული შეხვდა. გარდა იმისა, რომ სათანადო კონდიციებში ვართ, შემადგენლობაც მაღალი კლასისაა და პირადად ჩემთვის მოულოდნელი ნამდვილად არ არის, 9 ტურის შემდეგ ლიდერებს შორის რომ ვართ. სხვათა შორის, კლუბის ხელმძღვანელობაც და გულშემატკივრებიც გახარებულები არიან – ტენერიფეს ესპანეთის ჩემპიონატში ასეთი სტარტი აქამდე არ ჰქონია. ვიმედოვნებ, ასევე განვაგრძობთ. ძალებს არ დავიშურებ, რომ გუნდმაც წარმატებულად ითამაშოს და მეც კარგი სტატისტიკა მქონდეს. სწორედ ამას უნდა მოჰყვეს საუკეთესოდ აღიარება, თუმცა მვპ-ის წოდების მიღება ძალიან რთულია. შარშან და შარშანწინ თითოჯერ დამასახელეს ტურის საუკეთესოდ. ყველაზე კარგი მაინც უნიკახასთან თამაში გამოვიდა – 8-დან 8 ორქულიანი ჩავაგდე. ცენტრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ არის გამთამაშებელი. ტენერიფეში ფლეიმეიქერის პოზიციაზე გამოცდილი მარსელინიო უერტასი გვყავს, რომელიც საოცარ პასებსაც მაძლევს და ბურთს თავადაც აგდებს. მისი დიდი დამსახურებაა ტენერიფეს წარმატება.

გასულ სეზონში გიორგის ესპანეთის ჩემპიონატში ტურის საუკეთესოდ აღიარების შემდეგ გუნდის ვარჯიშზე ხაჭაპური მიჰქონდა. ტრადიციას არც წლეულს დაარღვევს. ან ვინ დაარღვევინებს – თანაგუნდელების სახელით სწორედ უერტასმა ვიდეორგოლით მიულოცა საუკეთესოდ დასახელება და ტრადიციული ხაჭაპურის მიტანა მოსთხოვა.

– თებერვალში კონტინენტთაშორისო თასი მოვიგეთ. ტურნირის სიმბოლურ ხუთეულში რომ შემიყვანეს, მომდევნო დღეს ვარჯიშზე შინ გამომცხვარი პიცებითა და ხაჭაპურით მივედი. ახლა, ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშედ რომ დამასახელეს, გუნდელები უკვე ელოდებიან ხაჭაპურს.

ძიუდოს ევროპის ჩემპიონატი არ გადაიდება

ევროპის ძიუდოს კავშირის ხელმძღვანელის სერგეი სოლოვეიჩიკის განცხადებით, ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც პრაღამ 19-21 ნოემბერს უნდა უმასპინძლოს, არ გადავადდება.

სერგეი სოლოვეიჩიკი:

– ევროპაში, კერძოდ კი ჩეხეთში, შექმნილი რთული მდგომარეობის მიუხედავად, რამაც დაინფიცირების ახალი ტალღა გამოიწვია, ევროპის ძიუდოს კავშირის აღმასრულებელმა საბჭომ ევროპის ჩემპიონატის ჩატარება გადაწყვიტა. უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ 2021 წელს ტოკიოში ჩატარდება ოლიმპიური თამაშები, ჩვენ კი ვალდებულნი ვართ ევროპელი ათლეტები მოვამზადოთ ოთხწლეულის უმთავრესი ღონისძიებისთვის, რაც შეუძლებელია ასეთი მაღალი ევროპული დონის შეჯიბრებაში მონაწილეობის გარეშე. ამასთან ერთად, ჩვენ ვხელმძღვანელობთ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის და უნგრეთის ძიუდოს ასოციაციის ბრწყინვალე მაგალითით, რომლებმაც ახლახან ბუდაპეშტში დიდი სლემის ტურნირი ჩაატარეს. და ბოლოს, ჩვენი ნდობის მე-3 ფაქტორიც – ეს არის სოლიდარობა და ევროპის ეროვნული ფედერაციების და ეროვნული გუნდების წევრთა მაღალი დისციპლინა.

ევროპის ძიუდოს კავშირის ხელმძღვანელი ასევე ირწმუნება, რომ ძიუდოს ევროპის კავშირი და ჩეხეთის ძიუდოს ფედერაცია, სამუშაო ჯგუფთან ერთად, მზად არიან ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

როგორც იცით, ამ ევროპის ჩემპიონატზე საქართველო 11 სპორტსმენით იქნება წარდგენილი:

მსოფლიოს და ევროპული თამაშების ჩემპიონი ლუხუმ ჩხვიმიანი (60), ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს მე-3 პრიზიორი ვაჟა მარგველაშვილი (66), ევროპული თამაშებისა და მსოფლიოს მე-3 პრიზიორი ლუკა მაისურაძე, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი ტატო გრიგალაშვილი (ორივე 81), ევროპის მე-3 პრიზიორი ბექა ღვინიაშვილი (90), მსოფლიოსა და ევროპის 3-3 გზის ჩემპიონი ვალერი ლიპარტელიანი (100), მსოფლიოს, ევროპისა და ევროპული თამაშების ჩემპიონი გურამ თუშიშვილი და ევროპის მე-3 პრიზიორი ლევან მატიაშვილი (ორივე +100).

3 მონაწილე გვეყოლება ქალთა ტურნირშიც: ტატიანა ლევიცკა-შუკვანი, ახალგაზრდებში მსოფლიოს ფინალისტი მარიამ ჯანაშვილი (ორივე 52) და ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ეთერ ლიპარტელიანი (57).

აქვე გეტყვით, რომ ლევიცკა-შუკვანი და ლიპარტელიანი რეიტინგში ძალზე ახლოს არიან სალიცენზიო ზონასთან.

ახალგაზრდულმა ნაკრებმა წელი გამარჯვებით დახურა

საქართველო-სლოვაკეთი 2:1

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 ფაბისი (9სკ), 2:0 მექვაბიშვილი (78), 2:1 გონო (90)

საქართველო: მამარდაშვილი, ძოწენიძე (ძებნიაური 86), ბერიაშვილი, ანდრონიკაშვილი, მალი, დარცმელია, ქოჩორაშვილი (კუცია 70), მექვაბიშვილი, აზაროვი (ტაბატაძე 79), კუხიანიძე (სპანდერაშვილი 78), გულიაშვილი

სლოვაკეთი: პეტრაში, ფაბისი (ვალო 60), ტუმა, მესიკი, მოიზისი, ჰერჩი, გონო, სტრელეცი (მუნდი 87), დურიში (ტრუშა 82), ალმასი (ოვალი 61), ჩობოტი (კმეტი 82)

საქართველოს 21-წლამდე ნაკრებმა ევროპის 2021 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი მე-3 ადგილით დაასრულა. ეს არ არის ურიგო შედეგი, თუ გავითვალისწინებთ, რომ წინ მხოლოდ საფრანგეთი და შვეიცარია გავუშვით. ორივე მათგანი ტოპ-10 გუნდში შედის.

მე-3 ადგილის დასაკავებლად კი, ვასილ მაისურაძის გუნდს თბილისში, „მიხეილ მესხზე“ უშუალო კონკურენტისთვის, სლოვაკეთის ნაკრებისთვის უნდა მოეგო.

საერთოდ, ქართველებს ზოგადად მოსაგების მოგება უჭირთ, მაგრამ, ამჯერად, ასე არ მოხდა და საქართველოს 21-წლამდე ნაკრებმა წელი გამარჯვებით დაასრულა.

ჩვენები სწრაფად დაწინაურდნენ – სერგო კუხიანიძემ ორიგინალური პასი დაუტოვა გიორგი ქოჩორაშვილს, რომლის დარტყმის შემდეგ ბურთი ლუკას ფაბისს მოხვდა და კარში შევარდა.

კუხიანიძის როლი აღსანიშნავია მე-2 გოლის დროსაც – წყალტუბოს სამგურალის ფეხბურთელმა ფლანგზე მეტოქის დაცვა ჩვენ შემტევებს ერთი პასით მოწყვიტა, შემდეგ კი მექვაბიშვილს გატანა არ გასჭირვებია, რომელსაც ასისტენტობა გიორგი გულიაშვილმა გაუწია. როგორც მიხვდით, კუხიანიძე ელიგა 2-ის ფეხბურთელია და საკმაოდ საინტერესოც ჩანდა.

2:0 უკვე სოლიდური უპირატესობა იყო, რადგან სლოვაკები შეტევაში ვერაფერს ახერხებდნენ. ეს კი ჩვენი ნახევარდაცვისა და დაცვის დამსახურება იყო. სტუმრებმა კარის ჩარჩოში პირველად 90-ე წუთზე დაარტყეს და მიროსლავ გონომ გოლიც გაიტანა. თუმცა, გიორგი მამარდაშვილიც გვარიანად წაეხმარა.

საკუჩნიო ცხრილი:

1.შვეიცარია	8	8	0	0	23-4	24
2.საფრანგეთი	8	7	0	1	24-9	21
3.საქართველო	10	5	0	5	17-14	15
4.სლოვაკეთი	9	3	0	6	16-21	9
5.აზერბაიჯანი	9	2	0	7	5-16	6
6.ლიხტენშტეინი	8	1	0	7	3-24	3

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

სომხეთს საქართველოსთან მხითარიანი დააკლდება

სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, ნაკრებს 2 უახლოეს მატჩში მისი კაპიტანი ჰენრიხ მხითარიანი ვერ დაეხმარება. სომხებს კი, 15 ნოემბერს ერთა ლიგის ც დივიზიონის მე-5 ტურის შეხვედრა საქართველოს ეროვნულ გუნდთან თბილისში აქვთ სათამაშო.

მიზეზი ისაა, რომ რომაში კორონავირუსით ედინ ჯეკო, ლორენცო პელეგრინი, დავიდე სანტონი, ფედერიკო ფასიო და მარაშ კუმბულა დაინფიცირდნენ. თავად მხითარიანს კორონავირუსი არ დაუდგინდა, მაგრამ იტალიურმა საფეხბურთო კლუბმა რომის ჯანდაცვის რეგიონალური სისტემის მიერ მიღებული ახალი კანონით იხელმძღვანელა და საკარანტინე პერიოდის დასრულებამდე, უეფას ეგიდით გასამართ ღონისძიებაში თავისი ფეხბურთელის მონაწილეობაზე უარით თქვა.

რეგულაციის თანახმად, ფეხბურთელები კლუბის ბაზაზე არიან იზოლირებულნი და იტალიის დატოვების უფლება არ აქვთ.

გეტყვით იმასაც, რომ სერია ა-ს უკანასკნელ ტურში მხითარიანმა ჯენოასთან სტუმრად მოგებულ მატჩში (3:1) ჰეთ თრიკი შეასრულა.

სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, ჰენრიხ მხითარიანს ძალიან სურდა ეროვნული ნაკრების დახმარება ორ უახლოეს მატჩში და სომხური მხარე რომასგან გამონაკლისის დაშვებას ითხოვდა, მაგრამ პასუხი უარყოფითი მიიღო.

ჯოსვოხდი ბ



თარაზულად: 1. პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 2. ოპერა „ტრავიატას“ მუსიკის ავტორი; 3. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 5. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სამხრეთ კორეული მეტალურგიული კონცერნი; 6. არქიტექტურული ნაგებობის სამკაული, ორნამენტი; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 10. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 12. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 14. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 15. უდაბნო აფრიკაში; 16. სპირტიანი სასმელი.

თარაზულად: 1. მდინარე პრაღაში; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. გულუხვი მასპინძელი; 9. კოლუმბიის დედაქალაქი; 11. საავადმყოფოს სახელწოდება ძველად საქართველოში; 12. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 13. ისტორიული ციხე-სიმაგრე მცხეთის მახლობლად; 17. სუბტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე; 18. მუსლიმთა წმინდა ქალაქი საუდის არაბეთში; 19. მერყევი სხეულის უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 20. ძალიან იშვითი ნივთი, ექსპონატი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პატენტი; 2. ბრიხი; 3. ბოტიჩელი; 4. ბულბული; 5. ქონდაქარი; 9. ქოთანი; 12. ტონიაცი; 14. ნუნცია; 15. გუჩი; 17. დუვრი; 18. ელჩი.

თარაზულად: 6. ნადური; 7. კონსუელო; 8. მეტეხი; 10. რუპია; 11. ციცინათელა; 13. ანტიგონე; 16. ფოლადი; 19. ლოკატორი; 20. დანტისტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯარა; 2. რიქშა; 3. შვეიკი; 5. პროზა; 6. გემრიელი; 8. ბანგლადეში; 10. ბრონქსი; 12. სისტოლა; 14. აფრიკა; 15. ქილიკი; 16. ელისო.

თარაზულად: 1. ჯუღური; 4. ეპილოგი; 7. მექისე; 9. კოზაკი; 11. ანანური; 12. საინგილო; 13. ანკესი; 17. თოფუზი; 18. გეთი; 19. ალტრუიზმი; 20. რიტორიკა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2863

ევრო — 3.8742

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3570

100 რუსული რუბლი — 4.3144

ამინდის პროგნოზი 13 ნოემბრისათვის

ანსუ ფატი: „რეაბილიტაციის დროს ვარჯიშს არ შევწყვეტ“

ბარსელონას ახალგაზრდა ფორვარდმა ანსუ ფატიმ თავის ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს მალე გამოჯანმრთელდეს, თუმცა ესმის, რომ ამის გაკეთება იოლი არ იქნება.

ფატის თქმით, ის შეეცდება, რომ რეაბილიტაციის პერიოდში აქტიურად ივარჯიშოს და ფორმიდან არ ამოვარდეს:

– ვიცი, რომ საკმაოდ ბევრი მატჩის გამოტოვება მომიწევს, მაგრამ ამის გამო არ ვდარდობ. ვაპირებ, რეაბილიტაციის პერიოდი აქტიურად გავატარო და მოედანზე ოპტიმალურ ფორმაში დავბრუნდე.

რეალს ერლინგ ჰალანდის შეძენა სურს

მადრიდის რეალი ახალ ფორვარდს ეძებს, რომელიც ლუკა იოვიჩის ადგილს დაიკავებს. იოვიჩმა მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა და დიდი ალბათობით მას რეალი გაყიდის.

რაც შეეხება ჰალანდს, ის ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფორვარდად ითვლება და ის უკვე დორტმუნდის ბორუსიაში წამყვანი მოთამაშეა. ბორუსიას მისი გაყიდვა არ სურს, თუმცა თუ ფეხბურთელმა წასვლა მოინდომა, გერმანელებს მისი გაჩერება გაუჭირდებათ.

ლიონი დეპაის გაშვებას არ აპირებს

ფრანგულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლიონი მემფის დეპაის გაყიდვას არ აპირებს და იანვარში ის ბარსელონაში არ გადავა.

თვითონ დეპაის სურს ბარსელონაში თამაში და ის ამას არც მალავს, მაგრამ, როგორც ჩანს, მას კიდევ დაცდა მოუწევს.

კატალონიური გუნდი დეპაის შეძენას განსაკუთრებით მას შემდეგ ცდილობს, რაც გუნდი ლუის სუარესმა დატოვა, ანსუ ფატიმ კი ტრავმა მიიღო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ვირჯინიის შტატს მტაცებელი ჭიაყელები შეესივნენ

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმონდში შენიშნეს უზარმაზარი ზომის ჭიაყელა, რომელიც კუნძულ კალიმანტანის ბინადარია.

პიროვნებას, რომლის ყურადღება 30 სანტიმეტრიანმა ჭიაყელამ მიიქცია, თავდაპირველად ის გველი ეგონა და ვირჯინიის შტატის ველური ბუნების კონტროლის სამსახურს აცნობა. ფოტოსურათმა, რომელი მან აღნიშნულ სამსახურს გადაუგზავნა, მისი თანამშრომლები ჩიხში შეიყვანა.

– ჩვენ მსგავსი რამ არასოდეს გვინახავს, – აღიარეს მათ ფეისბუქში.

არსების იდენტიფიცირება მხოლოდ მისი ფოტოსურათის სოციალურ ქსელში გამოქვეყნების შემდეგ მოხერხდა. ის მტაცებელი ჭიაყელა აღმოჩნდა. ამ არსებების აშშ-ის ტერიტორიაზე შეჭრა 100 წელზე მეტია გრძელდება. ამ დროის მანძილზე მათ მოასწრეს კალიფორნიის, ფლორიდის, ჯორჯიის, ლუიზიანას და ტეხასის, ასევე ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინების შტატების დაპყრობა. ამ დრომდე ისინი ვირჯინიაში დაფიქსირებული არ ყოფილან.

აღნიშნული ჭიაყელა იმ ცოცხალი ორგანიზმებით იკვებება, რომლებიც მიწაში ბინადრობენ და ადამიანების ან შინაური ცხოველებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

13 ნოემბრისათვის

ვერძი – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ახალი ინფორმაცია სასიამოვნოდ გაგაოცებთ. იზრუნეთ ახლობლებზე. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ფხიზლად იყავით, საღად იაზროვნეთ. **ტყუპები** – იმედებითა და ახალი გეგმებით აღსავსე დღეა. მიზანს მიაღწევთ. ნათესავებთან კონფლიქტია მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – შესაძლოა, სამსახური ან სულაც პროფესია შეიცვალოთ. წარმატების გარანტი თქვენი პრაქტიკულობა და ინტუიციაა. **ლომი** – პრობლემების მოგვარებაში მეგობრები დაგეხმარებიან. ეს დღე ოჯახურ გარემოში გაატარეთ. **ქალწული** – შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. პარტნიორი თქვენს გაოცებას მოახერხებს. **სასწორი** – დილით ქრონიკული დაავადებები მწვავდება. საღამოს უკეთეს ფორმაში ჩადგებით და სულიერ სიმშვიდესაც მოიპოვებთ. **ღრიანკალი** – კომერციული საქმიანობა წარმატებით დაგვირგვინდება. ინიციატივას ნუ დათმობთ. კოლეგები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **მშვილდოსანი** – იმ საქმეს ხელს ნუ მოჰკიდებთ, რომელიც რისკთან არის დაკავშირებული. კარგი იქნება განმარტოება, სეირნობა სუფთა ჰაერზე. **თხის რქა** – საკმაოდ იღბლიანი დღეა საქმიანი ურთიერთობებისათვის. სამსახურში სასიკეთო ცვლილებები მოხდება. **მერწყული** – მიზნის მიღწევაში დაბრკოლებები გელით. რეალობას ნუ მოსწყდებით. დეტალები მხედველობიდან არ გამოგრჩეთ. **თევზები** – ახალი საქმის დასაწყებად შესაფერისი პერიოდია. ნებისმიერ უსიამოვნებას თავიდან ღირსეულად აირიდებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ძაღლის აყვანა მინდა, მაგრამ ცოლი არ მაძლევს...

– და რატომ გგონია, რომ ძაღლი მოგცემს?

●●●

პაციენტი ექიმს მიმართავს:

– ექიმო, მიშველეთ! დამეხმარეთ! რა მჭირს?

– ნუ ნერვიულობთ, დამშვიდდით, ეს ჩვეულებრივი ბუასილია?

– როგორ, ბუასილი სახეზე?

– აჰ, ეს სახეა?!!

●●●

კაცების კომპანია მხიარულობს, სვამს. მხოლოდ ერთი ზის მოწყენილი სახით. ერთ-ერთი ეკითხება:

– რა იყო, ბიჭო, რა გჭირს?

– ცოლს შიდსი დაუდგინეს... ვიხუმრე ბიჭებო, რა გჭირთ, რა ყველას ფერი გეცვალათ?..

●●●

ერთი ბავშვი მეორეს ეუბნება:

– დღეს სკოლისთვის მომზადება დავიწყეთ...

– როგორ?

– როგორ და მშობლებმა იყიდეს დღიური, ქამარი და ვალერიანის წვეთები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნინო მაჩაიძე გოგონას დედა გახდება

ოპერის მომღერალი ნინო მაჩაიძე გოგონას დედა გახდება.

ის და მისი მეუღლე გუიდო ლოკონსოლო პატარას მომავალი წლის იანვარში ელოდებიან. ნინომ უფროს შვილთან, ალესანდროსთან ერთად გადაღებული ფოტო სოციალურ ქსელში გაავრცელა და ეს სასიხარულო ამბავი ასე ამცნო ათასობით გულშემატკივარს და ერთგულ მსმენელს.

ბესიკ ხარანაული 81 წლის გახდა

პოეტი და მწერალი ბესიკ ხარანაული 81 წლის გახდა. პანდემიის გამო, იუბილარი შემოქმედი დაბადების დღეს ჩვეულებრივად შეხვდა, თუმცა ინტერნეტში უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.

თავის დაბადებას ბესიკ ხარანაულმა თავის დროზე ძალიან ორიგინალური ჩანაწერი მიუძღვნა:

– მე დავიბადე, გამოველ მზეზე, მაგრამ მზის ნაცვლად ხმელი ფოთოლი ბზინავდა მაღლა, და მზედ იმიტომ მოჩანდა მხოლოდ, რომ ტრიალებდა შავი ცის ფონზე.

დიახ, მზე იყო ხმელი ფოთოლი, მაგრამ არ იყო იგი ედემის; მას ჩვენი ქუჩის მტვერი ეყარა და ეტყობოდა ნაფეხურები.

მზე არ მათბობდა, რადგან არ იყო ის შემოსილი ოქროსფერ მატყლით, მზე – თავმომწონე კაცმა ატყორცნა ფეხით კონსერვის თეთრი კოლოფი.

შეხედა კაცმა და გაუკვირდა, რომ თავისქალა ბრუნავდა ცაზე და საუბარი სპორტის შესახებ შეცვალა ყოფნა-არყოფნის თემით.

ნოემბრის თვეში, როდესაც ხეზე თავს ვეღარ იჭერს ხმელი ფოთოლი, მე დავიბადე.

გიორგი გაბუნიას კორონა ვირუსი დაუდასტურდა

ტელეკომპანია „იმედის“ იუმორისტული გადაცემის „ღამის შოუს“ წამყვანს გიორგი გაბუნიას კორონა ვირუსი დაუდასტურდა.

ინფორმაცია გიორგიმ ინტერნეტშიც თავად გაავრცელა და ყველას, ვისთანაც ბოლო დღეებში კონტაქტი ჰქონდა, იზოლაციაში გადასვლა ურჩია:

– კოვიდ 19 მეწვია, ცოტა ხნით გავჩერდები და წავალო. ვიმყოფები სასტუმროში, თავს ვგრძნობ ნორმალურად. გადადით იზოლაციაში თუ ვინმე ვნახე პარასკევის მერე. გკოცნით.

ალექსანდრე ზაზარაშვილი პირველობას არ თმობს

უკრაინული საბავშვო „ვოისის“ გამარჯვებული ქართველი მომღერალი ალექსანდრე ზაზარაშვილი პირველობას ისევ არ თმობს და მსოფლიოს გაოცებას აგრძელებს.

„ვოისის“ მთავარმა არხმა ინტერნეტში გამოაქვეყნა „საბავშვო ვოისის“ საუკეთესო 5 კონკურსანტი, რომლებმაც მსოფლიო ვარსკვლავის სელინ დიონის ცნობილი ჰიტები საუკეთესოდ შეასრულეს.

ხუთეულში პირველ ადგილზე ალექსანდრე ზაზარაშვილია. მასთან ერთად რჩეულთა შორის აღმოჩნდნენ ბელგიის, ფილიპინების, ნიდერლანდებისა და საფრანგეთის „საბავშვო ვოისის“ მონაწილეები, რომლებმაც ბრმა მოსმენისთვის და ჟიურის შემოსაბრუნებლად სწორედ სელინ დიონის ცნობილი სიმღერები შეარჩიეს.

მის და მისტერ თბილისი 2020 გამოვლენილია

დიზაინერმა გიორგი მასხულიამ სილამაზის კონკურსი „მის და მისტერ თბილისი 2020“ ჩაატარა. კონკურსი პანდემიის მიუხედავად მაინც ჩატარდა და რეგულაციებიც მკაცრად იყო დაცული.

დიზაინერების, მსახიობების, მომღერლების, პროდიუსერების, კომპოზიტორებისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ წარდგენილი კონკურსანტებიდან საუკეთესოები გამოავლინა და მათ გამარჯვებულის გვირგვინი დაადგა თავზე.

„მის თბილისი 2020“ მარიამ ჩუხუა გახდა, „მისტერ თბილისი 2020“ – კი კახა მამულია.

ლაშა ღლონტმა აჭარას სიმღერა მიუძღვნა

მომღერალმა ლაშა ღლონტმა მშობლიურ აჭარას სიმღერა მიუძღვნა.

„აჭარული“ – ასე ჰქვია კომპოზიტორ ედუარდ გორგილაძის სიმღერას, რომლის ტექსტიც ზურაბ გორგილაძეს ეკუთვნის.

სიმღერაზე მომღერალმა ვიდეოკლიპიც გადაიღო. გადაღებები ბათუმში მიმდინარეობდა. დასრულებული ნამუშევარი ლაშა ღლონტმა საზოგადოებას ინტერნეტში წარუდგინა და ბევრი მოწონებაც დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. სპეციალური დანიშნულების სამხედრო ნაწილების გადასხმა მტრის ტერიტორიაზე; 2. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 3. დაავადებული ორგანოს სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა; 4. მსხლის ფორმის მქონე ზეთით მდიდარი ნაყოფის მქონე ტროპიკული მცენარე; 5. გეოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმაციის პროცესებს; 9. გია დანელიას კინოკომედია; 12. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 14. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 15. ქართული ლუდი; 17. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 18. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი;

თარაზულად: 6. სატუსაღო ძველ თბილისში; 7. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 8. მოყვითალო ფერის სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 10. ეგიპტის დედაქალაქი; 11. წყლის შიში; 13. გადაჭარბებული თაყვანისცემა რაიმესადმი; 16. არქტიკული ზონის უტყეო სივრცე; 19. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია ნატოს შტაბ-ბინა; 20. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა